სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 13 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 145 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 145

მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ დუშეთში 5 ივლისს, მდინარე არაგვში, თავისი მოვალეობის ასრულების დროს დაიღუპა ამავ რაიონის სახალხო გვარდიელი

**იაკობ გასპაროვი**

მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავათმყოფოდან კვირას, 14 ივლისს, დილის 10 საათ. და დაასაფლავებენ ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე, დედა ალათი, შვილები: ნიკიფორე, კოლია, ნინა და თამარა: ძმები: იროდი, სანდრო, ვლადიმე და ივლიანე; რძლები: პისტი, ოლღა და ბარბალე ცინცაბაძეები და დისწული ისაკი დავითის ძე ინწკირველი აუწყებენ ნათესავთ. ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 11 ივლისს გარდაიცვალა

**ნიკო გიორგის ძე ცინცაბაძე**

მიცვალებულს გამოასვენებენ პარასკევს 12 ივლისს ათ საათზე სახლიდან ანდრეევის შესახვევი № 6) თფილისის სადგურზე გურიაში წასასვენებლად. დაკრძალვა კვირას 14 ივლისს. ს. ზომლეთში. (2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მატა შარაშენიძისა, შვილები: ვიქტორ, უშანგი, ლეონიდე, პავლუშა, გოგოლა და რძალი მერი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ნიკოლოზ ოქროპირის ძის შარაშენიძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს 13 ივლისს 4 საათზე ქ. ოზურგეთში. (2—2)

გულდათუთქული დედა ლიუდი, და ლეონინე და ძმა მიხაკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 14 ივნისს სოფ. შემოქმედში (გურია) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და საყვარელ პრაპორშჩიკ

**დათიკო ალექსანდრეს ძე ვანიძის**

სულის მოსახსენებლად.

ყოფილი ალექსანდროპოლის ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძველი პარტიული მუშაკის

**ნიკოლოზ ცინცაბაძის**

გარდაცვალებას.

პოდპორუჩიკი **იური ლუკას ძე აროშიძე**

მსახურებდა შავი ზღვის „პოგრანიჩნი“ ბათალიონში 10 აპრილს მონაწილეობას ღებულობდა სოფ. ვაშნართან (ოზურგეთის ახლო) ბრძოლაში. აღნიშნულ ბრძოლის შემდეგ მშობლებმა არა იციან რა მის შესახებ. ვთხოვ ვინც კი რამ იცის მის შესახებ შემატყობინოს შემდეგი მისამართით: სად. ნიგოითი, პორუჩიკ რაჟდენ აროშიძეს.

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, სალამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

**სავალდებულო დადგენილება**

დამტკიცებული ქალაქის საბჭოსაგან 8 ივლისის სხდომაზე.

1) ყველა სავაჭროები, რომელთაც ჰქონდათ ნება 7 საათის შემდეგაც ევაჭრათ, როგორც მაგალითად: სასადილოები, რესტორანები და სხვ., უნდა დაიკეტოს სალამოს 11 საათზე ახალი დროით.

2) ყველა გასართობი ადგილები; თეატრები, კლუბები, სინემატოგრაფები, ცირკი და სხვ. უნდა დაიკეტოს სალ. 11 საათზე ახალი დროით.

3) არავის ნება არა აქვს გახსნას რაიმე გასართობი დაწესებულება ქალაქის გამგეობის ნებდაურთველად.

4) ვინც შემჩნეული იქნება ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში პასუხისგებაში აქნება მიცემული დებულების მე 29 მუხლის ძალით.

(2—2) თფილისის ქალაქის გამგეობა.

**თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება**

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

**კურსები**

მეცადინეობა სალამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და სალ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და სალ. 6—8 საათ.

## აჯანყება მოსკოვში

ბალშევიკები მეცხრე თვეა „ბატონობენ“ რუსეთის სივრცეზე. მაგრამ მათ ბატონობას მოყვა არა ზავი და მშვიდობა კაცთა შორის, არამედ გამუდმებული სამოქალაქო ომი და შინაური აჯანყებები.

ტყვილად კი არ ქადაგებდა ბალშევიკების ლიდერი ლენინი სამოქალაქო ომს, როგორც მთავარ საშუალებას რევოლიუციის გასაღრმავებლად.

სამოქალაქო ომი მან მართლა გააღრმავა, მაგრამ რევოლიუცია კი მხოლოდ დაასამარა.

ბოლოს და ბოლოს თვით ბალშევიკები ბატონობდენ უცხო სახელმწიფოს წყალობით, რომელსაც მათი დამარღვეველი მუშაობა ეინტერესება. თავის-თავათ კი იგინი უძლური არიან ან წესიერება დაამყარონ, ან მიწა მისცენ გლეხებს, ან რაიმე წყობილება შემოიღონ. კომუნიზმი, რომელიც მათ დააკანონეს, მხოლოდ ანარქიის მთავარ საფუძვლათ გადაიქცა, ხოლო მუშათა კლასის დიქტატურა, შეიარაღებულ სალდათების თარეშათ.

თავისთავათ ცხადია, ასეთ მდგომარეობას, რომელიც სპობს თვით სახელმწიფოს არსებობას და ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას ასამარებს, სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია ყველა საზოგადოებრივ წრეებში. და ჩვენ ვხედავთ ჯერ აჯანყებას ლიბერალურ წრეებისას და კონსერვატიულ ელემენტებისას, რომელთაც მეთაურობდა კორნილოვი, ალექსეევი, დუტოვი და სხვ. მათგან ზოგი დამარცხდა, ზოგი დასუსტდა იმდენათ, რომ სერიოზული ბრძოლის წარმოება აღარ შეეძლო და ბალშევიკებმა უკვე დაიწყეს საჯაროთ ღაღადისი, აი მოვსპეთ ბურჟუაზია ქალაქებში, დავანარცხეთ იგი მიწაზე, ახლა სოფლის წვრილი ბურჟუაზია-ღა დაგვრჩა და სოციალიზმის გზა გატკეპნილი იქნებაო.

მაგრამ ამ დეკლარაციას იმდენივე ფასი ქონდა, რამდენიც, წინანდელებს. არსებითი შინაარსი და შედეგი ამ განცხადებისა იყო სოფლის ამხედრება სოფლის წინააღმდეგ, განაპირა ადგილებში, სადაც შედარებით მსხვილი გლეხობა ცხოვრობს, ამ ნიადაგზე უკვე იჩინა თავი კონტრ-რევოლიუციურმა მასსიურმა მოძრაობამ, რომელმაც მიიყვანა გამარჯვებამდე რეაქცია უკრაინაში და დონის ოლქში, გამოიწვია წინააღმდეგობა და სასტიკი ბრძოლა ციმბირში და ჩრდილო კავკასიაში.

ამ უკანასკნელებს მოყვა აჯანყებები ქ. სამარასა და ვოლგის ნაპირებზე. ამ უკანასკნელთ უმთავრესათ ხელმძღვანელობენ ესერები, მისი ეგრედწოდებული მემარჯვენე ფრთა.

საერთოთ იმ მცირე ცნობებიდან, რომელიც ჩვენამდე აღწევს ძნელი გასარკვევია, რამდენათ ძლიერია და ღრმა ეს მოძრაობა ბალშევიზმის უსაზღვრო და უთავბოლო ბატონობის წინააღმდეგ. მაგრამ, რომ მშვიდობა არ ეღირსა და არც დიდხანს ეღირსება კიდევ რუსეთს, ეს ეჭვს გარეშე არაა.

აქამდი ცენტრალური რუსეთი, ეს ბურჯი და სიმაგრე ბოლშევიკობისა, მაინც იყო დაცული ასეთი სასტიკი ბრძოლისაგან. მცირედ უკრაინელებზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ.

მაგრამ უკანასკნელ მოსულ ცნობებით ამ უკანასკნელ სიმაგრეშიაც შეჭრილა ამბოხების ალი.

აჯანყებები ამ შემთხვევაში მოწყობილია უკვე ბალშევიკების მეომრების—მემარცხენე ესერებისაგან—სპირიდონოვას მეთაურობით.

ამ რიგათ ბალშევიზმი დღეს სავსებით განმარტოვებულია, რაც მოასწავებს მის უკანასკნელ დღის მოახლოვებას.

თვით აჯანყების ხასიათი და მიზანი ამჟამათ რამდენიმეთ აშკარაა: აჯანყებასთან სდევდა გრ. მირბახის მოკვლა. ცხადია ამ ორ მოვლენას შორის მჭიდრო კავშირია. მემარცხენე ესერების მოძრაობას ანტი გერმანული ლოზუნგები აქვს სახელმძღვანელოთ. ამაშია მისი ძლიერი მხარე და ამაშია მიზეზი მისი სისუსტისა. თუ ამ მხრით მას შეუერთდება ყველა ის, ვინც ბრესტის ხელშეკრულობით და მისი შედეგებით უკმაყოფილოა, სამაგიეროთ მას გაურბის ის, ვინც ხელახლა ომის ალმურში გაბმას არ თვლის შესაძლებლად.

საერთოდ მოსკოვის აჯანყება—ლოღიკური გაგრძელებაა იმ რიგი აჯანყებებისა, რომელთაც ადგილი ქონდათ რუსეთის სხვა კუთხეებში.

მაგრამ არის ერთი გარემოებაც რომელსაც ახალი ხაზი შეაქვს ამ მოძრაობაში.

აქამდე სჭარბობდა აჯანყებები კონსერვატიული თუ ლიბერალური ელემენტების, ამ ბოლო ხანში კი მოძრაობას ბალშევიზმის წინააღმდეგ სათავეში უდგება დემოკრატიული აზრების წარმომადგენელნი. ამით ბედი ბალშევიზმის წინდაწინვე გადაწყვეტილია. იგინი უკვე განწირული არიან ისტორიისაგან. მაგრამ მათი დაცემით მიეცემა სათავე დიდ და ძლიერ რეაქციონურ მოძრაობასაც, რომელიც უკან წაათრევს რევოლიუციის ხომალდს.

ბალშევიზმმა საკმაოთ, გახრწნა მთლიანობა დემოკრატიის. დღეს დემოკრატია ებრძვის დემოკრატიას, ხალხი ჟლეტს ხალხს, ყოველი იდეიური, თუ პოლიტიკური განსხვავება ხდება ნიადაგათ შეიარაღებული შეტაკებისა და ასეთ საყოველთაო ომიანობის წესი არ მოისპობა არც ბალშევიზმის გაქრობით.

სამოქალაქო ომის წიაღში ნაზობი ბალშევიზმი, ამ ომის შედეგებს უანდერძებს თვის მემკვიდრეებს, და ამით სამარეს უმზადებს.

ხანა წერეთლისა და კერენსკის სახელით აღნიშნული აღარ აღსდგება. მაგრამ იმ ათხრების ნიადაგზე, რომელიც ბალშევიზმმა დაბადა, მაინც შეიძლება რამოდენიმეთ დემოკრატიის ძალების მოგროვება. და რამდენათ მეტი და ძლიერი რაზმი შეიკვრება ამ ბრძოლის პროცესში, იმდენათ მეტი რევოლიუციის [illegible] ნაყოფი შერჩება რუსეთის დემოკრატიას.

ამაშია აზრი და მიზანი დემოკრატიის ბრძოლის...

## ერობა და ჩვენი ტაქტიკა

როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ანარქიის გაძლიერებას სხვათა შორის ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩვენი სოფელი მოკლებულია რიგიან სასამართლოს და ადმინისტრატიულ აპარატს.

ამ საქმის გაძღოლა შეუძლია ადგილობრივ თვითმართველობას—ერობას. ერობა ადგილობრივ იგივეა, რაც პარლამენტი მთელი ქვეყნისათვის. ერობაში თავს იყრიან ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები, რომლებიც კარგათ იცნობენ ადგილობრივ ჭირვარამს, ხალხიც მათ ენდობა და ეს ნდობა გარანტიაა იმის, რომ ერობა შესძლებს ნაყოფიერ მუშაობას.

სამუშაო კი ერთობ ბევრი აქვს ერობას. სოფელი მოუწყობელია: ის მოკლებულია საექიმო დახმარებას, რის შედეგია ათასგვარ გადამდებ სენის გავრცელება; სოფელს არ აქვს რიგიანი სკოლა, მოუწყობელია ფოსტის საქმე; რიგიან გზების უქონლობის გამო ფერხდება თავისუფალი მიმოსვლა. სოფელს არ აქვს სამეურნეო ცოდნა, არ აქვს ორგანიზაცია, რომელიც გაუადვილებდა სამეურნეო იარაღების შეძენას. და რაც თავი და თავია სოფელში მოუწყობელია სასამართლო და ადმინისტრაცია.

ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებათ გადაიქცენ რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე აღმასრულებელი კომიტეტები. ამ კომიტეტებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს სოფელს, მაგრამ დღეს იმდენათ შეიცვალა სოფლის ცხოვრება, რომ ისე სახელდახელოთ შექმნილი ორგანიზაცია, როგორიც არის აღმასრულებელი კომიტეტი, სოფელს ვერ მოუვლის. და აკი თითქმის ყველგან გაუქმებულია დღეს ასეთი კომიტეტები!

თვითმპყრობელობის დროს ყოველგვარი საზოგადოებრივი თაოსნობა ჩახშობილი იყო, ამიტომ ჩვენ ვერ ვღირსეთ ერობას. რევოლიუციის შემდეგაც ვერ განვახორციელეთ ის. რადგან ხელს გვიშლიდა გადამიჯვნის საკითხი.

დღეს ეს დაბრკოლება აღარ არსებობს. ჩვენ დავიარსეთ საკუთარი რესპუბლიკა, რომლის ფარგლებში შეგვიძლია მოვაწყოთ დემოკრატიული ერობა და მართვა-გამგეობა.

ერობის კანონი უკვე გამოიცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის არსებობის დროს. უნდა ვისარგებლოთ ამ კანონით და დაუყონებლივ შემოვიღოთ ერობა.

სამწუხაროთ ერობის არჩევნები ერთობ ზანტად ხდება. მხოლოდ თფილისის მაზრაშია ჯერ ჯერობით არჩევნები დანიშნული, სხვაგან კი ჯერ კიდევ არ შესდგომიან საქმეს, საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს.

როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა ამ არჩევნებში? შეგვიძლია თუ არა შევუთანხმდეთ სხვა პარტიებს, თუ უეჭველათ დამოუკიდებლათ უნდა გამოვიდეთ?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერობა უნდა მოეწყოს **საქმიანობის ნიადაგზე** და ამიტომ შესაძლებელია ყველა პარტიებთან მუშაობა, თუ კი ეს პარტიები ცნობენ და იცავენ საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას. აი ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლათ ჩვენს მუშაობას სხვა პარტიებთან შეთანხმების საქმეში. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს ისეთს ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის, რომ ამ პლატფორმის ნიადაგზე თამამათ შეიძლება სხვებთან შეთანხმება და მუშაობა.

მოვუწოდებთ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს და ამხანაგებს დააჩქარონ საერობო მუშაობა, ჩქარა შეუდგენ არჩევნებს.

## პრესა

ადგილობრივი გერმანული გაზეთი „კავკაზიშე პოსტ“ ქართულ ეროვნულ საბჭოსა და სოციალ დემოკრატიის შესახებ სწერს:

„ეს ხალხური წარმომადგენლობა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ მოწვეულ იქნა ამავე ხანში მომხდარ ამბების გამო დღეს აღარ შეეფერება მდგომარეობას, დღევანდელი ქართული ნაციონალური საბჭო ეს მარტო ანაქრონიზმია, ვინაიდან მის მოწვევის დღიდან ყოველივე შეიცვალა და შეიქნა საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც დღემდე არ ემჩნევა არსებობის ნიშანი. როგორ შეუძლია რომელიმე პოლიტიკურ სხეულს იარსებოს, როდესაც მას შიგნით არ აქვს სახელმწიფოებრივი სახე, რომელზედაც ეყრდნობა აშენებლობა. როდესაც პირველათ საქართველოს ეროვნულ საბჭომ შეიყარა თავი მაშინ ბევრი ქართველის ორიენტაცია სულ სხვანაირი იყო, ვინაიდან, მომავლის სახე, მაშინ მათთვის არ იყო ნათელი და ისინი წყვდიადში ფოთიალებდენ. დღეს კი ყოველივე ნათლად სჩანს. საქართველო გერმანიის მფარველობით არის დამოუკიდებელი ქვეყანა. ის წევრები ნაციონალურ საბჭოში, რომლებიც დღესაც თავიანთ ძველ გამოურკვეველ ორიენტაციას მისდევენ საქართველოს ეროვნულ საბჭოსათვის წარმოადგენენ არა მის ღვიძლ, არამედ უცხო ქვეყნის შვილთ, რომელნიც არღვევენ სახელმწიფოს.

თუ მათ სურთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლათ აღიარების შემდეგაც დარჩენ პატრიოტებათ მაშინ მათი მოვალეობაა მოითხოვონ ეროვნული საბჭოს გაშვება, რომ ამით ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს შეძლება მიეცეს გამოსთქვას თავისი აზრი და ამნაირათ არჩეულ იქნას ახალი პატრიოტულ ეროვნული საბჭო.

დღევანდელი ეროვნული საბჭო არ წარმოადგენს და არ გამოხატავს მთელი ხალხის ნებას, ვინაიდან ის არის მხოლოდ პარტიული სახის მატარებელი, რომელიც რათაც უნდა დაუჯდეს სცდილობს ქვეყნის მართვის საქმე შეინარჩუნოს. ასეთი სურვილი ძალა უფლების შენარჩუნებისა არ არის პატრიოტული და ესეც იმ დროს, როდესაც ქვეყნის თვალის წინ საქართველოს რესპუბლიკას ბევრი ემუქრება და როდესაც ყველა ქართველი პატრიოტი გრძნობს ამ საშიშროებას,—მაშ, მით უფრო ნაციონალურ საბჭოს წევრებმა, დროზე უნდა შეიგნონ და დარწმუნდენ, რომ მათი სამშობლო საჭიროებს ახალ ხალხს და მხოლოდ დღევანდელი ნაციონალური საბჭოს დათხოვნა და ცვლილების მოხდენა მოუტანს სიკეთეს ამ ხალხს.

ყველა, ვინც მხნეთ ებრძვის მტერს არის რაინდი, მაგრამ დიდებულია თავის თავის მძლეველიც, რომელიც დროზე იტყვის, რომ ძალა არ შესწევს თავს იდვას მიცემული გამოცანის ახსნა და მოსძებნის სხვა საქმეს. თითქმის ერთი წლის მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მართვა-გამგებლობამ გვაჩვენა, რომ ამ საქმის სიმძიმე აღემატება მათ ნიჭსა და ძალას და თუ ისინი გამჭრიახი ხალხია და ამასთანავე ჭეშმარიტი პატრიოტებიც უნდა გაუშვირონ ხელი იმ პატრიოტებსაც, რომლებიც მათი წყალობით დღეს სახელმწიფო საქმის მართვა-გამგებლობის გარეშე სდგანან. მათ ერთათ უნდა შეადგინონ შერეული ეროვნული საბჭო.

მხოლოდ ეს იქნება ხალხის ნებაყოფლობის გამოხატვა და ამასთანავე ერთობის და თავისუფლების იდეალიც, რომელიც შეეფერება ყველა მოქალაქეს.

გამგებლობა, რომელიც ემსახურება პარტიის ბრძანებას, არ არის თავისუფალი გამგებლობა და ეროვნული საბჭოც, რომელიც ასეთ გზას მისდევს, არის მხოლოდ პარტიული საბჭო და არა ნაციონალური!

აქვს კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უფლება, რომ თავს იდვას პასუხისმგებლობა ყველაფრის, რაც დღეს საქართველოში ხდება და შემდეგშიაც მოხდება?—არა!

ახალგაზდური მხნეობით, ქართველი სოციალ-დემოკრატია 18 თვე, რუსეთის რევოლიუციის განმავლობაში აკავშირებდა ხალხს და თვითმპყრობელობის ბატონობის დამხობის შემდეგ ჩაყარა საფუძველი საქართველოს განთავისუფლებისა. ეს იყო მათი კეთილშობილება და გამბედაობა და აქედან დაწყებული მათ საჩქაროთ უნდა ებრუნათ პირი თავიანთი ქართულ სამშობლოსაკენ, ვინაიდან ბევრათ ახლო სდგას სამშობლოს კეთილდღეობა, ვინემ სადღაც შორს მყოფი რუსის სოციალ-დემოკრატია თავიანთი ანარქისტული სულისკვეთებით.

მაგრამ ქართველმა სოც.-დემ. ვერ გამოიჩინა ამოდენა სიბრძნე და როდესაც კერენსკი კადეტებს მოუწოდებდა თავის დროშის ქვეშ, რომ რუსეთის სახელმწიფოში, კადეტების ხელმძღვანელობით, ხელახლა აღედგინა რუსეთის ხალხის თვითმპყრობლობა, მაშინ ქართველი სოც. დემ. გაყვა რუსებს, რომელთაც თავი მზათ ქონდათ საბელში გასაყოფათ. გაყვა იმიტომ, რომ ეგონა კერენსკის უნდა გადაარჩინოს რევოლიუციაო.

რევოლიუცია კი მაშინ უკვე მკვდარი იყო და დღეს ის ხომ სამკვდროთ მკვდარია, რაც მან დაარღვია ის რამოდენიმე წელს აღარ აშენდება. ქართველ ნაციონალურ საბჭოს ამ ძნელ საქმისათვის არ დასჭირდება მანდამაინც ბევრი აშენებლობითი ძალების გამონახვა, აქ არ არის საჭირო ზედ დასაყრდნობი ძალა, ვინაიდან დანგრევის პირზე მიმდგარი მოქანავე კედლების გადარჩენა კიდევ შესაძლებელია. აქ საჭიროა ახალი შენობის დაწყება და ამ მუშაობისათვის მოსაქმე, გამოცდილი, გამოვარჯიშებული, და ცოდნით სავსე ხალხის და არა შემთხვევითი გამლელების გამონახვა, რომლებიც დღეს ეროვნულ საბჭოში სხედან.

ეს მოგვაგონებს იმ ვაჭარს, რომელსაც ვაჭრობაში ბევრი მარცხი მოსდიოდა, ვინაიდან არა რა გაეგებოდა ანგარიშისა, მაგრამ სირცხვილით არ უნდოდა თავი კოტრათ გამოეცხადებინა, ვინაიდან კოტრათ აღიარებული, უნდა გამხდარიყო ისევ პატარა კაცი და შესდგომოდა ძველ წუნარსა და ხელმოკლე ცხოვრებას. მაგრამ ვაჭარს ყავდა საყვარელი ოჯახობა, რომლის ბედზედაც ის ზრუნავდა და რომ უკანასკნელისათვის ეშველა ის იძულებული იყო გადეცა თავისი წარმოება გამოცდილ კაცისათვის, რომ გადაერჩინა ის, რის გადარჩენაც კი შეიძლებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველმა ნაციონალურმა საბჭომაც უნდა დააჩქაროს იმის გადარჩენა, თავისი დიდი საქართველოს ოჯახისათვის, რის გადარჩენაც ჯერ-ჯერობით კიდევ შესაძლებელია“.

ეროვნული საბჭო, რომ აღარ შეეფერება მდგომარეობას—ეს სოციალ დემოკრატიულ ფრაქციამაც კარგათ იცის და ამიტომ ითხოვს ის დამფუძნებელ კრე-

ბის მოწვევას და ეროვნული საბჭო უკვე შეუდგა საამისო მზადებას.

მაგრამ „კავკაზიშე პოსტ“, რომელიც ამ ბოლო დროს ცდილობს გაზეთ „საქართველოს“ დამალებით გადაქცევას, სულ სხვანაირათ მსჯელობს: მასა არ მოსწონს ის, რომ ეროვნულ საბჭოში სოციალ დემოკრატია უძლიერეს ფრაქციას წარმოადგენს. მერე ვისთვის არის სავალდებულო „კავკაზიშე პოსტის“ ასეთი აზრი? განა ცოტა მოწინააღმდეგე ყავს გერმანიაში სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ ვის შეუძლია გერმანიის რეიხსტაგი დაიწუნოს იმიტომ, რომ იქ სოციალ დემოკრატია ძლიერ ფრაქციას წარმოადგენს. და ტყუილა ირჯება „კავკაზიშე პოსტ“, როცა ეროვნულ საბჭოს ურჩევს მიბაძოს იმ ვაჭარს, რომელმაც გამოცდილი კაცი მოიწვია სავაჭრო საქმეების გასაძღოლათ ასეთი რჩევით მან უნდა მიმართოს ხალხს და თუ ხალხი დაინახავს, რომ ეროვნულ-დემოკრატები, რომელნიც დღეს უმცირესობას შეადგენენ ეროვნულ საბჭოში, უფრო კარგათ გაუძღვებიან სახელმწიფოს საქმეებს, ხალხიც მათ აირჩევს. თორემ დღეს, რომ „კავკაზიშე პოსტის“ რჩევით ეროვნულმა საბჭომ ნაციონალ დემოკრატები მოიწვიოს, ხვალ ხომ შესაძლებელია „ზნამია ტრუდამ“ რუსი ჩინოვნიკები გამოაცხადოს ქვეყნის მხსნელათ.

რომელს დაუჯეროს?

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

11 ივლისი.

**ხოსტა** (სოხუმის ოლქი). მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: ხოსტის მოქალაქენი სამადლობელი პარაკლისის შემდეგ გულითად სალამს უძღვნიან საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც გვიხსნა ანარქიისა და სამარცხვინო უღლისაგან. გისურვებთ წარმატებას.

**ვენა.** გრაფ მირბახის მოკვლის შესახებ მიღებულია შემდეგი ცნობები: მირბახის მკვლელების გაქცევის შემდეგ იმ შენობის წინ, სადაც მემარცხენე ესერების კონგრესია გამართული 6 ივლისს ღამით ქუჩაში ომი გაჩაღდა, რომელშიც, როგორც დამტკიცებულია მონაწილეობას იღებდენ ინგლისელი აგიტატორები. საბჭოთა ჯარებმა ფიცხლავ აღადგინეს წესრიგი. სოც.-რევოლიუციონერების ბელადები კონგრესზე დაპატიმრებულ იქნენ. არაა გამორკვეული დაპატიმრებული არიან მკვლელები თუ არა. ესერების აჯანყება მოსკოვში დამარცხებულათ შეიძლება ჩაითვალოს. ბალშევიკების მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

**ლუგანო.** გუშინ გრ. მირბახის მოკვლის ამბავს ყველა გაზეთები სიმპატიით შეეგებენ. დღეს ეს გაზეთები სწერენ, რომ ამ მკვლელობით გერმანიას უფლება ეძლევა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს. ალბერტ ტომა „ჰუმანიტეში“ აცხადებს, რომ მირბახის მოკვლას გასამართლებელი საბუთი აქვს. ეს მკვლელობა იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთში კიდევ მოიპოვებიან ის ძალები, რომლებიც გერმანიას წინააღმდეგობას გაუწევენ.

**მოსკოვი.** მემარცხენე ესერების აჯანყება ადვილით ჩააქრო მოსკოვის გარნიზონმა. ქალაქში აღდგენილია წესრიგი. მთავრობის მოწოდებაში ნათქვამია, რომ ესერები ინგლის საფრანგეთის იმპერიალიზმის და რუსეთის ბურჟუაზიის აგენტები არიანო.

სიზრანთან ჩეხო-სლოვაკები განდევნილ იქნენ 50 ვერსით. ისინი განდევნეს აგრეთვე პენზა-სიზრანის ფრონტზე.

**ქუთაისი.** აჭარლებმა გადმოლახეს საზღვრები. მცხოვრებთ ართმევენ პირუტყვთ და ესვრიან ჩვენს მცველებს.

12 ივლისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. მტრის ძლიერი იერიში მეტოუნის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ. მდ. ენსა და მარნას შორის ძლიერი ბრძოლაა. ჩვენი ჯარი პავიერის დაბლობის პოსტებს მიაწვა, ვინაიდან მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ვილდერ-კოტერეცკის ტყეში. ამერიკელების 6 აეროპლანიდან ჩვენ წამოვიყვანეთ 5.

**ვენა.** იტალიის ფრონტზე ახალი შეტევა არ მომხდარა. ალბანიაში ჩვენმა ჯარმა დაიკავა ახალი თავდაცვის ხაზი. დევოლის დაბლობში წინ წამოწეული ფრანგების რაზმი ჩვენმა ჯარმა შეაჩერა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. 10 ივლისს ღამით გეჯარის რკინის გზის აღმოსავლეთით ორივეს მხრით დაზვერვა სწარმოებდა. დილით ადრე მდ. იორდანეს აღმოსავლეთით ჩვენს რაზმს შეტაკება მოუხდა მტრის რაზმთან. მტერმა უკან დაიხია. დასტოვა მოკლული 30 კაცი და 40 ცხენი. რაზმის უფროსი და ერთი ჯარის-კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. აფრიკიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩვენს ჯარს ტრიპოლში ალყა შემოურტყამს მტრის რაზმისთვის. მტერს თვის დიდი ზარალი მივაყენებია. 18 მაისს ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ხომსის სამხედრო დაწესებულებებს. 19 მაისს ჩვენმა ჯარმა გარეკა მტრის რაზმი სუვარის ოლქში.

## უკანასკნელი ცნობები

მ ლ ე თ ი.

(საქართველოს სამხედრო გზა)

11 ივლისს ღამის 12 საათზე სად მლეთიდან ამხ. ორაგველიძემ ტელეფონით შემდეგი გადმოსცა თფილისში სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს: „ჩვენ დღეს, დილის 3 საათზე მლეთში შევედით. გუშინ მოწინააღმდეგეთ შეხვდით სოფელ ამირთკარში, სადაც მათ წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

ამ ბრძოლის დროს ჩვენ დაგვიჭრეს 7 კაცი (4 ოფიცერი და 3 ჯარის კაცი) ერთი დაჭრილთაგანი გვარად გულისაშვილი ამ საღამოს უკვე გარდაიცვალა. მოწინააღმდეგეთ ზარალი მეტი მოუვიდათ. დახოცილები მათგან 5 კაცი ჩვენ ვნახეთ, ხოლო სხვების აკრება და წასვენება მოასწრეს. მათ გუშინდელ ბრძოლაში ჰყავდათ 300 მდე თოფით მებრძოლი, ხოლო 50 კაცი რუსი მეზარბაზნე. ჩვენ მოწინააღმდეგეთა შორის არიან მეტი ნაწილი ოსობა, დუშეთიდან გამოქცეულები და ადგილობრივი მცხოვრებლებიც ეხმარებიან მათ.

ხალხი ჩვენს წინააღმდეგ მოუწამლავთ, მათში მაცდურებს და მოღალატეთ გაუვრცელებია ხმა ვითომც ჩვენ სახალხო გვარდია და ჯარი ვიყოთ თავად აზნაურობისგან მოსყიდული მთავრობისა.

როცა ამ ხალხს უყურებთ გული გვიკვდება და თვალთაგან ცრემლი მოგვდის, ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ ჩვენ მათს და მათი ინტერესების დაცვისთვის თავ განწირულთ თავის მტრად გვთვლიან და იმ მოღალატეთ აუყოლებიან, ვინც ფულზე გაყიდა რევოლიუცია და ხალხი, ვინც მტერია ხალხის თავისუფლებისა, ვინც უღალატა დემოკრატიულ რესპუბლიკას და გაყიდა სამშობლო.

ეს უბედურები, მიუხედავათ ისისა, რომ ჩვენ მცხოვრებლებს დიდის მოწიწებით ვეპყრობით და ვამშვიდებთ, მათ მაინც არ სჯერათ, რომ ჩვენ მათთვის კარგის მეტი არა გვინდარა, ეშინიათ ჩვენი. ჰგონიათ, ავაზაკებისაგან გზის გაწმენდის შემდეგ მათზე ჯავრს ვიყრით. საჭიროა ამ ხალხის შეცდომიდან გამოყვანა, გამოგზავნეთ პროპაგანდისტები რომ მათ გააგებინონ ხალხს სიმართლე, ეს ჩვენი ვალია. პროპაგანდისტებმა უნდა აუხსნან და გააგებინონ, რომ ხალხის მტერი კი არ არის მთავრობა, არამედ ხალხის მეგობარია; რომ სახალხო გვარდია ხალხის დასასჯელათ კი არ არის შედგენილი არამედ ხალხის მძარცველებისაგან დასაცველადაა. პროპაგანდისტებმა უნდა აუხსნან ხალხს, რომ ჩვენ დავსჯით მხოლოდ მათ, ვინც ატყუებს ხალხს და ვინც ხალხი თავის მთავრობის წინააღმდეგ ააღელვა და თოფი აალებინა.

ს ო ჭ ა.

მთავრობის თავმჯდომარემ სოჭიდან ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ხოფერიასაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „საბჭოების მთავრობა გავაუქმეთ. ათი დღის წინ საბჭოს გაუქმებამდე, სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კრებაზე უნდობლობა გამოუცხადა საბჭოს უარი განუცხადა მიეცა მათთვის სალდათები და სხვა საჭირო მასალები. საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. სოჩის ოლქის მუშების საერთო კრებაზე სახალხო გვარდიის თავმჯდომარის ამხ. თუმარკინის მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლიუცია— მხარი დაუჭირონ საქ. რესპუბლიკის მთავრობას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ოლქის სხვადასხვა ადგილებშიაც. ჩვენმა ჯარმა თავისი მოქმედებით და მცხოვრებლებთან დამოკიდებულებით დაიმსახურა მათი სიყვარული. ჩვენი ჯარის წესრიგი ხელს უწყობს ახალი ძალის სიძლიერეს. გადაეცით საქ. დემ. რესპ. მთავრობას სალამი.

## დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრის გლეხობა მეტის მეტათ მოწამლულია პროვაკაციული ეთ. მთავრობის ჯარის გამარჯვების შემდეგ ზოგიერთი პირები მაინც გაიძახიან: თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ჯარმა დაგვძლიაო, მე, როგორც ისაურ მცხოვრებს ზოგიერთებთან მქონდა საუბარი; დიდის ფიცით ვუმტკიცებდი, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესების. მაგრამ, საუბედუროთ, ბევრი ვერ დავარწმუნე ამაში. ბოლოს რამდენიმე პირმა მიპასუხეს: თუ მართლა მთავრობა გლეხების ინტერესების დამცველია, აქამდე უნდა მიწები ჩამოერთმია თავად-აზნაურებისთვის და გადმოეცა ჩვენთვისო. მე ამაზეც შესაფერი პასუხი გავეცი. ბოლოს მითხრეს: ახლა მაინც მთავრობამ ჩქარა ჩამოართვას თავადაზნაურობას მიწები და მშრომელ გლეხობას ჩაგვაბაროს, მიწების ჩაბარების შემდეგ ჩვენ არავის ენას აღარ ავყვებითო.

ჩემის აზრით რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაიგზავნოს დუშეთის მაზრაში მიწის მიმღები კომისიები მიწის რეფორმის განსახორციელებლადა. მაშინ დუშეთის მაზრის გლეხობა მყუდროთ შეუდგება შრომას და პროვაკაციულ ენებს ალაგი აღარ იქნება. მათში.

დუშეთელი.

## ახალი ამბები

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ანარქიასთან საბრძოლველათ არსდება საგანგებო დეპარტამენტი.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა** 11 ივლისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: საქ. რესპ. ქვეშევრდომებათ ითვლებიან ყველანი, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს და 19 ივლისამდე 1914 წ. მიწერილი იყო რომელიმე საზოგადოებაზე და რომელიც ეხლანდელი კანონ-პროექტის გამოცხადებიდან 2 თვის განმავლობაში უარს არ გამოაცხადებს ქვეშევრდომობაზე.

✦ **ადერბეიჯანის მთავრობამ** ჩამოხრჩობა მიუსაჯა ამხ. ს. დ. „გუმეტის“ წევრებს მ. და ს. ბლიევსა და სანიევს. მათ ბრალს სდებენ იმაში, ვითომ მათ გაევრცელებინოთ „გუმეტელების“ პროკლამაციები, შესახებ ყაზახის მაზრის საქართველოს რესპუბლიკასთან შემოერთებისა. „გუმეტის“ ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. აღამალოვი ამ ბრალდებას გაზ. „ბორბა“-ში უარჰყოფს, როგორც აშკარა სიცრუეს. იგი ამბობს, რომ „გუმეტის“ ორგანიზაციას არავითარი პროკლამაცია არ გამოუშვია და ამას ადერბეიჯანის მთავრობა ვერაფრით ვერ დაამტკიცებს. შეიძლება ყაზახის მაზრაში მოძრაობა საქართველოს დემოკრატიისკენ და მის სახელმწიფოსაკენ კიდევაც იყოს, რადგანაც ეს ბუნებრივია, როდესაც მთელ ადერბეიჯანში ოსმალეთის ბარბაროსული დესპოტია ბატონობს. ჩვენი ამხანაგების დახრჩობას სიმბოლიური ხასიათი აქვს, რადგანაც ამით არსებითად ოსმალეთის ფაშებმა და ადერბეიჯ. ეხლანდელმა მთავრობამ იქ რევოლიუცია და მისი მამოძრავებელი ღერძი—აგრარული კანონი—ჩაახრჩვესო.

✦ **პურის შეძენის** შესახებ მთავრობამ დაადგინა შექმნას კომისია, რომელშიდაც შევლენ წარმომადგენელნი გზათა მიმოსვლის, ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწათ-მოქმედების სამინისტროებიდან, რომელთაც დაევალება პურის შეძენა საქართველოს საზღვრების გარეთ.

✦ **ქართული ენის კურსები.** საქართველოს რესპუბლიკის ჯარის შტაბთან, სამხედრო პირთათვის, გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით 20 ივლისიდან იხსნება ორთვიანი ქართული ენისა და წერა-კითხვის კურსები; მსურველთ შეუძლიან ჩაეწერონ კურსებზე საველე შტაბში (სასახლის ქ.) 10—14 საათამდე.

✦ **სიღნაღი.** რადგანაც სურსათის ნაკლებობაა, სიღნაღის თავდაცვის კომიტეტმა დაადგინა არ მიიღონ შემდეგისათვის ლტოლვილები.

✦ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა სამთვრალისა და უწესოებისათვის კაპ. ნ კატელნიკოვი. თავის ნებით საყარაულოს მიტოვებისათვის ნ. ხარაბაძე.

✦ **ლექცია.** დღეს, 13 ივლისს ერობის და ქალაქთა თვითმართველობის შესასწავლ კურსებზე (მე-3-მე ქ. გიმნაზია) შემდეგი ლექციებია: 1) ბაკონინი: „საპარაუდო აღრიცხვა“ (დილის 9—10 ს.) 2) გეპშტეინი „მუნიციპალური მილიცია“ (10—12 საათ.) და 3) სმირნოვი: „საქალაქო ფინანსები“ (სად. 6—9 საათ.) კვირას შესდგება უკანასკნელი ლექციები. კვირა საღამოთი საერთო საუბარი ლექტორებსა და მსმენელებს შორის მუშათა კლუბში (მიხეილის პრ. 65). ორშაბათს დანიშნულია ექსკურსია ავჭალის წყალსადენში.

✦ კვირას, 14 ივლისს საღამოს 7 ს. მეექვსე გიმნაზიის შენობაში (უდელნი ქუჩა № 3) ეროვნული საბჭოს წევრი ამხ. დ. ონიაშვილი გააკეთებს მოხსენებას აგრარულ რეფორმაზე საქართველ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბარათით ს.-დ. [illegible] რაიონის კოლექტივ [illegible] ხანაგს მეოთხე [illegible] ლათ დაისწრონ კრებას.

## საჩხერის ამბები

საჩხერის რაიონი თანდათან იწმინდება ოსებისა და ქართველ „ბანდებისაგან“. „ბანდა“, საკმაოთ მრავალ რიცხოვანი, 28 ივნისს მოადგა საჩხერეს მოტყუებით (წინასწარ უთვლიდა იარაღს გაბარებთო), დაესხა უეცრათ იქ მდგომ სამაზრო მილიციას, მოუკლა სამი კაცი და გააქცია. მილიცია (60 კაცი) გმირულათ დახვდა, მაგრამ არა ორგანიზაციულათ, ვინაიდან ხელმძღვანელი ადრე წასულიყო და უთაოთ დარჩენ.

მეორე დღეს გუბერნიის კომისრის თანხლებით მოვიდა ჯარი: „ხორუნჟ“ ფხაკაძის ცხენოსანი ასეული, მეთორმეტე პოლკის „უჩებნაია“ კომანდა და პირველ არტილერიის ბრიგადის მეოთხე ბატარეია კაპიტან იმხნელის მეთაურობით, რომელიც ამავ დროს ჯარის უფროსიცაა. აქვეა ყვირილის გვარდია და მილიცია.

კ. იმხნელის ჯარებმა ორი მხრიდან შეუტიეს საჩხერეში გამაგრებულ ბანდას, რომელთა უმრავლესობა არტილერიამ დააფრთხო, ხოლო უფრო გულადები გარეკა კავალერიამ და შემდეგ ქვეითებმა.

საჩხერიდან გაფანტული „ბანდა“ დღეს მთის სოფლებშია გაფანტული და ხალხს ძალას ატანს: ს. არგვეთში თავს დაესხენ ხალხს და მთავრობისთვის წარსადგენათ აკრებილი თოფები წაართვეს; ს. სვერი აიძულეს ხარჯი უწიკონ; ს. ქორეთს თავს დაესხენ და ააწიოკეს, საქონელი გაურეკეს, რატომ თოფები ჩააბარეთო და სხვა.

ბანდები ხალხს აშინებენ კავკავიდან ოცი ათასი ოსი მოგვყავს ზარბაზნებით და სულ აგაოხრებთ თუ მთავრობას მიემხრობითო, ჯავიდან გადმოდიან ოსები და არწმუნებენ ხალხს ნაწილი ზარბაზნებისა უკვე გადმოიტანეს ჯავის ხეობაში და სხვა ჭორები.

დღეს ოსებსა და ქართველ მცარცველებს უკვე ჩხუბი აქვთ. ოსები ქართველებს ბრალს დებენ გაგვაბრიყვეთ, ჩამოგვიყვანეთ და ეხლა აღარ გინდათ იბრძოლოთო, ხოლო ქართველები პირიქით, თქვენ გაგვაბრიყვეთ, ოცი ათასი კაცით გვაშინებდითო.

მოძრაობა თანდათან ღებულობს ოსურ ხასიათს. ირკვევა, რომ ადგილობრივ ოსებს კავშირი აქვთ ჯავის ოს ნაციონალისტებთან, რომელთა ბრმა იარაღი ბალშევიკები საცადელს არ აკლებენ.

ოსებმა უკვე მოასწრეს მთის ახლო მდებარე ზედა სოფლის დარბევა. ხმებია ქალებიც კი გაიტაცეს ტყვეთო. X

## გერმანიის პოლიტიკ. და სამხედრო მდგომარეობა

ახლად მიღებულ გერმანულ გაზეთებში მოყვანილია დაწვრილებით ის დეკლარაცია, რომელიც სტატს-სეკრეტარმა ბ-მა ფონ კიულმანმა წაიკითხა რეიხსტაგში 24 ივნისს. ფონ კიულმანი შეეხო უპირველესად ყოვლისა გერმანიის საგარეო პოლიტიკას და მოკავშირეებთან თუ სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას. ამ სიტყვის თანახმად არსებული კავშირი გერმანეთსა და ავსტრო-უნგრეთს შუა არა თუ იქნება შენარჩუნებული, არამედ—უფრო გაძლიერდება და გაღრმავდა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში. რაც შეეხება ბოლგარეთს, მასთან მეგობრული განწყობილება საზავო მოლაპარაკების დროს უფრო განმტკიცებულა. მიუხედავათ იმისა, რომ უკიდურესი მომხრე გერმანეთთან კავშირის, რადოსლავოვი გადადგა და მისი ალაგი სხვამ დაიკავა, ახალი პრემიერის საპასუხისმგებლო გამოსვლები თავდებია იმის, რომ არსებული პოლიტიკა უფრო გაძლიერდება და არ შეიცვლება. რაც შეეხება ოსმალეთთან დამოკიდებულებას, რასაკვირველია, ამ გრანდიოზულ ომის მსვლელობის დროს, წამოიჭრება ხოლმე ისეთი კითხვები, რომელნიც მოითხოვენ ორივე მხარის დიპლომატიურ მსჯელობას და მათ გარკვევას. მაგალითად, ასეთი კითხვებია დობრუჯა და მდ. მარიცასთან საზღვრების შესწორება, აგრეთვე კითხვა კავკასიის შესახებ, მაგრამ არც ერთ კითხვაში სერიოზული უთანხმოება არ მომხდარა და ფონ-კიულმანი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მოკლე ხანში შეიკრიბება სტამბოლის კონფერენცია, სადაც ყველა საყურადღებო კითხვები შესახებ ცენტრალურ სახელმწიფოთა და ამიერ-კავკასიის ხალხთა, იქნება გარჩეული და გადაჭრილი.

რუსეთი, ფონ-კიულმანის სიტყვით, ამ ჟამად მეტად იპყრობს გერმანიის დიპლომატიის ყურადღებას. ის, რაც ეხლა დამყარებულია რუსეთში, უნდა ჩაითვალოს არა საიმედო და არა სამუდამო მოვლენად. ჩვენი პოლიტიკა რუსეთის მიმართ უნდა იყვეს შემდეგი: ფხიზლი დაკვირვება, უაღრესი სიფრთხილე და რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ბრძნული ჩაურევლობა რუსეთის შინაურ საქმეებშიო. ნაციონალურმა მოძრაობამ რუსეთში შექმნა პატარ-პატარა სახელმწიფოებრივი ერთეულები და ეს დუღილი ჯერ არ დამთავრებულა. გერმანიის მთავრობა თავიდანვე იმ აზრს დაადგა, რომ საბოლოო ცნობა რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებისა უნდა მოხდეს ურთი-ერთ შეთანხმებით. ამ მიზნით ახლო მომავალში უნდა გაიხსნას ბერლინშივე თათბირი, სადაც უნდა დაესწრონ სრულ უფლებიანი წარმომადგენლები რუსეთის რესპუბლიკისა. აქვე გაირჩევა კითხვა ესტლიანდიის და ლიფლიანდიის შესახებ.

საერთოდ ბალტიის მხარის შესახებ კიულმანმა სთქვა, რომ იქ ჩვენ მიერ შეცვლილ იქნა, როგორც ამას იქაურებიც გვთხოვდენ, უბედურობის და არევ-დარევის წითელი რეჟიმი, სიმშვიდისა და წესრიგის რეჟიმით.

ასევე მოხდა ფინლიანდიაში, სადაც ჩვენმა ჯარებმა ფინლიანდიის მთავრობის თხოვნით მიიღო მონაწილეობა წითელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში და დავამკვიდრეთ იქ ისეთი წესრიგი, რომელიც ჩვენთვის და თვით ფინლიანდიის ასაყვავებლადაც საჭირო იყო. კერძოდ საქართველოს შესახებ ფონ-კიულმანს შემდეგი უთქვამს:

„მეფის მთავრობის მოსპობამ კავკასიაში წარმოშვა მთელი რიგი პრობლემებისა. საქართველო, რომელიც იქ ყველაზე მეტად მტკიცე სახელმწიფოს წარმოადგენს, რუსეთის ბატონობის გაქრობის შემდეგ იმ თავითვე სცდილობდა თავისი ნაციონალური ცხოვრება ხელახლა მოეწყო და დამოუკიდებლად განევითარებინა. საქართველოს მიეკედლნენ შედარებით ახალი და ნაკლები მ კიცე ერთეულები, სომხეთი რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შექმნას ლამობდა და აგრეთვე თათრები, რომელნიც აღმოსავლეთ კავკასიაში ბატომდე მცხოვრებთა მასის უდიდეს ელემენტს წარმოადგენენ ეს სამი სახელმწიფო შეეცადა ზეერთებულიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში და ამით თავისი შინაგანი და გარეგანი ძალა განემტკიცებინა.

ოსმალეთმა ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის ძალით უკან მიიღო ოლქები, რომელიც 1878 წელს რუსეთს დაუთმო, ბოლო დროს ოსმალეთი მესოპოტამიაში სტრატეგიული ურთიერთობის გართულების გამო იძულებული გახდა ესარგებლა ბათომ თავრიზ-ჯულფის გზით რათა უზრუნველეყო საეტაპო ხაზი ჩრდილოეთ ადერბეიჯანიდან ტიგროსის დაბლობისაკენ მიმავალი. ოსმალეთის ჯარის მარცხენა ფრთამ გადააბიჯა ბრესტლიტოვსკის ზავის მიერ შემოხაზულ საზღვრებს და საკმაოდ ღრმად შეიჭრა ისეთ ტერიტორიაში, რომლის ხანგრძლივი ოკუპაცია ან ანექსია ოსმალეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას. მაგრამ, როგორც ოსმალეთის ჯარის უმაღლესი გამგებლობა ირწმუნება, ეს მხოლოდ სტრატეგიული მიზნებით მოხდა, გერმანიისა და ოსმალეთის სამხედრო მართველობამ ყოველ მხრივ გამოარკვია ეს საკითხები. ოსმალოს ჯარის წინსვლა კავკასიაში, როგორც გვატყობინებენ, შეჩერებულია და კავკასიის საქმეების მოწესრიგება კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე მოხდება.

საქართველოს სახელმწიფომ, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაბით და რომლის არსებობაც დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლით დე ფაქტო (ფაქტიურათ) ვცანით, ბერლინში თავისი საგარეო მინისტრი გამოგვიგზავნა. ამ უკანასკნელთან ახლა მეგობრული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვაქვს. ჩვენ ჩვენის მხრით, თფილისს დიპლომატიური მისსიით გენერალი ფ. კრესსი გავაგზავნეთ, რათა ერთი მხრით თვით საქართველოსა და მეორე მხრით კავკასიის დახლართულ პირობების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვედგინა. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაცს ხალხს და მდიდარ ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს (ცხარე „ბრავოს“ ძახილი) და სიხარულით ვეცდებით, რამდენადაც ძალა შეგვწევს საქართველოს და გერმანიის შორის მეგობრული ურთიერთობა განვამტკიცოთ (ბრავო)“.

კიულმანი შეეხო აგრეთვე ზავის საკითხს და სთქვა, რომ შეუძლებელია გადაჭრით ვსთქვათ: ამ და ამ მომენტში ომი გათავდებაო. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ასე გავიმარჯვეთ, ჯერ ჩვენ მოწინააღმდეგეებში არ სჩანს ნათლად, რომ მათ სურდეთ ზავის ჩამოგდება. ამის შესახებ კი გერმანიას რამოდენიმეჯერ გამოუქვეყნებია თავის შეხედულება და აზრი მისი ყველამ უწყის, რაც შეეხება ჩვენ მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით კი ინგლისის სახელმწიფოებრივ მოღვაწეების განცხადებებში არ ჰკრთის არც ერთი სხივი ზავის სურვილისა. აქვე უნდა აღვნიშნო,—სთქვა მან,—რომ გერმანელთს სრულებითაც არ აქვს აზრად მთელი ქვეყნის დაპყრობა, რომელსაც ბალფური და სხვები ამტკიცებენ, რადგანაც ბატონობა მსოფლიოზე, ეს უტოპიური აზრია.

ომის დაწყებაში კიულმანი ბრალსა სდებს რუსეთის და მის მმართველ წრეებს, რადგანაც მათ ეშინოდათ რევოლიუციის მოახლოვების და უნდოდოდათ მსოფლიო ომის ცეცხლში ჩაეხრჩოთ იგი.

რა მიზნები აქვს მომავალში გერმანიას? ამის შესახებ კიულმანი ამბობს, რომ გერმანიის მიზანია იყვეს ბატონ-პატრონი ზღვისა იმდენად, რამდენადაც ეს მას შეეფერება. ჩვენ გვინდა მთელ მსოფლიოსთან ზღვით სრული კავშირი გვქონდეს, რაც საჭიროა ვაჭრობისთვის თუ ერთხელ და სამუდამოთ არ იქნა უზრუნველყოფილი გერმანიის ტერიტორია, რაც მას ისტორიამ მიაკუთვნა, ისე სანეტარო ზავის ჩამოგდება შეუძლებელი იქნება. თუმცა დღეს ჩვენ მოწინააღმდეგეებს ზავზე ლაპარაკიც არ სურთ, მაგრამ იგინი მიხვდებიან მალე, რომ იმ საშუალებების ძალით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, მათი გამარჯვება ილიუზიაა და სხვა არაფერიო.

ფონ კიულმანის დეკლარაციამ რეიხსტაგში გამოიწვია მწვავე კამათი, რომელიც ორი დღე გაგრძელდა. დეკლარაცია გააკრიტიკეს კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა, რომელნიც მოითხოვდენ უფრო პროგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებას. განსაკუთრებით მწვავე კამათი გამოიწვია ფონ კიულმანის შემდეგმა ფრაზამ: „ზავს ვერ მივაღწევთ მარტო იარაღის საშუალებითო“.

ჩვენთვის საინტერესოა სოციალ-დემოკრატების სიტყვები, რომლებმაც სასტიკათ გააკრიტიკეს გერმანიის საგარეო პოლიტიკა სამართლიანობის და დემოკრატიულის თვალ-საზრისით. მოგვყავს ეს სიტყვები სავსებით დეპ. დავიდის სიტყვა.

თუმცა ფორმალურად რუმინიასთან ზავის შეკვრის გამო აღმოსავლეთში ომი დამთავრდა, მაგრამ ფაქტიურად ომის ალი სხვადასხვა კუთხეში ისევ ელვარებს. სამწუხაროდ, აღმოსავლეთში ნემცების სისხლი ჯერ კიდევ ინთხევა, ჩვენ გვაწუხებს მძიმე ზრუნვა და ფიქრი იმაზე, რომ ეს ზავი შეიძლება შეიქნეს მხოლოდ უბრალო შესვენებათ. უკრაინასთან ზავმა მოგვიტანა საერთო სასოწარკვეთა. ამ ეგრეთ წოდებულმა „პურის ზავმა“ არ მოგვცა ჩვენ არც პური, არც ზავი. ამას აწერენ ტრანსპორტის მოუწყობლობას. ეს მართალია, მაგრამ მიზეზი ის არის, რომ ხალხი, რომელიც წარმოადგენდა უკრაინაში გერმანიის ინტერესებს, საქმესთან ვერ მოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო. ისინი ფიქრობდენ, რომ მათზე დაკისრებული საქმის გაკეთებას შესძლებდენ მხოლოდ სამხედრო მეთოდებით—ბრძანებებით, მუქარით და ხიშტებით. ბატონი გრებერი ამბობს, რომ გლეხებთან მოპყრობა უნდა იცოდე! აი სწორედ ეს ცოდნა აკლიათ ნემცებს. არის ამის ღრმა მიზეზები. ბატონებო, ისინი, ვინც იქ იცავენ გერმანიის ინტერესებს, იჩენენ სრულ უცოდინარობას რუსეთის რევოლიუციის და გამოხატავენ მისდამი ზიზღს. რუსეთის რევოლიუცია დამყარებულია იმაზე, რომ პროლეტარულმა მასსამ ომი გამოუცხადა მსხვილ მიწათ-მფლობელობის ეკონომიურ, პოლიტიკურ სოციალურ ბატონობას. ეს არის უკანასკნელი ფეოდალური ნაშთების განადგურება ევროპაში. მართალია, ჩვენშიდაც არის ძველი ფეოდალური წყობილების ნაშთები. უფრო გავლენიანი მათგანი არიან აღმოსავლეთ ელბის მიწათმფლობელობები. აღმოსავლეთ ელბის სულით და მისწრაფებებით არიან გაჟღენთილნი ის ხალხნი, რომელნიც აღმოსავლეთში აწარმოებენ გერმანიის პოლიტიკას. ესენი არიან ანუ პირდაპირ ელბაელები, ანუ მაღალის წრის სამხედრო პირნი, რომლების აზროვნება სავსებით გამოხატავს პრუსიის იუნკრების აზროვნება-ფიქრებს. მთავრობას აღმოსავლეთში ისეთი ცოტა გავლენა აქვს, როგორც რეიხსტაგს.— იქ საკითხებს სჭრის სამხედრო ავტოკრატია. რასაკვირველია, ისინი არიან ფრიად მომქმედნი ხალხნი, თავის მოვალეობაც ჩინებულათ ესმით, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პროლეტარულ მასსასთან და გლეხობასთან კონტაქში შევიდენ, ვინაიდან ისინი სიყრმიდან მიჩვეულნი არიან მათზე (გლეხებზე) ბრძანებლობას. ყველა დანარჩენები ხელქვეითნი, ისინი კი ბატონნი. (მარჯვნივ ყვირიან: გრენერ ბ. გრენერი გენერალია; რომელიც ექვემდებარება ფელდმარშალ ფ. ეიხგორნს. და რომ ის ჩადგომოდა ამ სულიერ განწყობილებას ოპოზიციაში, მაშინ ის პრუსიის გენერალი არ იქნებოდა.

ოფიციოზური ხოტბა-ქების შემსხმელნი ცენზურის საშუალებით ცდილობენ გაამართლონ ყველა ის, რაც უკრაინაში ხდება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გერმანიის წარმომადგენლები უკრაინაში მისვლისთანავე ინსტიქტიურად დაუკავშირდენ მათ მონათესავე მიწათმფლობელებს. მათი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ბოლო მოეღოთ დემოკრატიული წყობილებისათვის. ამ გვარად, მათ მიწათმფლობელებთან ერთად მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და ჯავშნიანი მუშტის დახმარებით და გერმანიის სამხედრო ოლიგარხიის წყალობით ახალმა გეტმანმა ჩაიგდო ძალა-უფლება ხელში. ეს გარემოება არ იქნება ჩვენი ისტორიის საქებარ ფურცლად, განსაკუთრებით სამხედრო შეჯრა-შევარდნა ცენტრალური რადის სხდომაზე ხელში რევოლვერით და გერმანიის მთავრობის

## ჯარ.-კაცთა წერილები

### ართული საპიონრი ბათალიონი.

სულ ორი კვირაა რაც ჩვენი ბათალიონის უფროსობა მიიღო ბ. პოლკოვნიკ ვახვახოვმა, ის იმ დღიდანვე შეუდგა ბათალიონში წესრიგის დამყარებას. დისციპლინის შემოღება ნელის ნაბიჯით მიდის ბათალიონში და სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ მისი გატარება ძნელია სანამ ბათალიონში ძველი სალდათები არიან. ბრძანება იყო, რომ ძველები განთავისუფლდებიან მაშინ, როცა ახლები მოვლენო, მაგრამ კარგა ხანია ახალი არავინ არ მოსულა და ძველები კი განთავისუფლებას მოითხოვენ.

9 ივლისს ბათალიონის უფროსმა ექიმმა ტყეშელაშვილმა წაიკითხა ლექცია ბათალიონის ბინაზე. ლექციის შინაარსი იყო: ქალაქში ხოლერის გაჩენა, საიდან გაჩნდა პირველათ ხოლერა და რა ზომები უნდა მივიღოთ ამ საშინელი სენის წინააღმდეგ. მან მდაბიო ენით აგვიხსნა და დარიგებაც მოგვცა, მაგრამ არ ვიცი რამდენათ აასრულებენ მის დარიგებას.

აკაკი ზედასაქარელი.

---

**ზესტაფონიდან.** აუტანელ პირობებში იმყოფებიან აქაური პირველი ქართულ დრუჟინის ჯარისკაცები, როგორც ტანთსაცმელების ისე სურსათის მხრითაც. აქ პური სრულებით არ იშოვება აცხობენ მხოლოდ მჭადს, ისიც ნახევრად ცომია. ზოგჯერ კი ეს უკანასკნელიც ნაკლებათაა და ჯარისკაცები მშივ- [illegible]

## კონტრ-რევოლიუციური მოძრაობა თერგის ოლქში

[illegible] ზია მოთავსებული: „ყუბანელ ყაზახთა კონტრ-რევოლიუციური „ბანდები", რომელნიც ცნობილ პოლკოვნიკ შკუროს მეთაურობით შემოვიდნენ თერგის ოლქში, ემყარება უმთავრესად ზოგიერთ თერგის ყაზახთა სტანიცებს და აქეზებს ბნელ ელემენტებს საბჭოს მთავრობის წინააღმდეგ.

ამ სამი დღის წინად, დილით, დაიწყო ყაზახთა აჯანყება სადგურ კისლოვოდსკიდან. შვიდ საათზე რომ დაიწყო უცბად დაჰკრეს ნაღარა. სტანიციდან საჩქაროდ გამოვიდნენ შეიარაღებულ ყაზახები და რკალივით შემოერტყნენ ქალაქს. უკვე 6 ს. და 15 წუთზე დაიწყო ოლრსა, რომელმაც შემდეგ მეტად ცხარე ხასიათი მიიღო.

უმთავრესად ისმოდა თოფისა და ტყვიის მფრქვეველთა სროლის ხმა, მერმე ზარბაზანიც ორჯელ გავარდა.

კისლოვოდსკის საქონლის სადგურთან საბჭოს ჯარებმა გაუმართა გმირული ბრძოლა რიცხვით გაცილებით მეტ მოწინააღმდეგეთა რაზმებს, მაგრამ მიუხედავათ ჩვენი გმირული თავდაცვისა, საქონლის სადგური აღებულ იქნა აჯანყებულთა მიერ. ამ დროს მომავალი მატარებელი № 33 მთლად დახვრეტილ იქნა. აჯანყებულებმა მაშინვე დაიკავეს მთელი რკინის გზის თხრილები და გაემართენ „რაზიეზდ მინუტკასკენ". ყაზახების ერთმა ასეულმა დაიკავა ესეც და გაემართენ შემდეგ. ამ დროსვე ააფეთქეს ხიდი მდინარე პოდკუმოკზე. ყაზახები ძალით აიძულებდენ რკინის გზის მოსამსახურეებს ლიანდაგის შეკეთებას ესსენტუკისაკენ.

ამ დროსვე პიატიგორსკში მოვიდა ცნობები, რომ ქ. კისლოვოდსკიც აუღიათ აჯანყებულებს. თუ რა ბედი ეწია იქაურ საბჭოს წევრებს და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს—არ იციან.

ზოგიერთთა გადმოცემით დილით აჯანყების დაწყებამდე პოლკ. შკურო [illegible]

## პროვინციის ქრონიკა

[illegible] ტისთვისაა საჭირო.

## კონტრ-რევოლიუციონერები სოფლად

არასოდეს ჩვენი დემოკრატია არ მდგარა ისეთ საბედისწერო საფრთხის წინაშე, როგორც დღეს. თანამედროვე მძიმე პირობები აუტანელ უღლათ დააწვა მას კისერზე. ჯერ არ დამთავრებულა გარეშე მტრის საფრთხე, რომ ხალხის სიცოცხლისა და თავისუფლების მტრები არღვევენ შინაურ ცხოვრებას.

ჩვენი რევოლიუცია არ დასრულებულა, თუმცა ის არსებითად დამარცხებულია, ამიტომ ცოტაღა გვაქვს დღეს იმედი, რომ რევოლიუციის მიერ წამოყენებული ყველა ლოზუნგი ხორცს შეისხამს და სინამდვილეთ იქცევა, თუმცა რევოლიუციამ ბევრი რამ შეგვძინა, რომელთა შერჩენა და განმტკიცება პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქისა.

საუბედუროთ ჩვენი ერის გარშემო ჰორიზონტი შავათ იღრუბლება. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ გამოდიან ნაძირალები, რომლებიც არავითარ ბოროტების წინაშე არ სდგებიან, რათა თავიანთი საზიზღარი ზრახვანი სისრულეში მოიყვანონ. რას გვეუბნება ზუგდიდ-ოჩემჩირ-დუშეთ-საჩხერის და სხვა მხარეთა დამღუპველი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები, რომლებმაც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის და მშრომელ დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი მრავალი ამხანაგები გამოაცალეს წუთი სოფელს?

კონტრ-რევოლიუციონური ცეცხლის ალი გადადის დღეს სოფლიდან სოფელში, სადაც ხალხის მოღალატენი სარგებლობენ გლეხთა ჩამორჩენილობით, ხალხის დღევანდელ უკიდურეს მდგომარეობით და აბამენ პროვოკაციის ქსელს, რათა დაუკარგონ მათ ნდობა ჩვენი მთავრობის, მოწინავე ამხანაგების და საერთოდ მთელი დემოკრატიისა.

ასეთ ნაძირალების, ხალხის კეთილდღეობის მტრების წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა, ბრძოლა დარაზმული, რომ სათავეში ჩაეკლათ ხალხის წინააღმდეგ ამართული შავი აჩრდილი. სოფელს ამ ბოლო დროს მოღუნება დაეტყო; ამიტომ ავრცელებენ მთავრობისა და რევოლიუციის საწინააღმდეგო ცნობებს. და დღეს უფრო საჭიროა პარტიული მუშაობის გაძლიერება სოფლად, გათვალისწინება ხალხისთვის დღევანდელ მდგომარეობისა, რათა არ ჩაჰქრეს მასში საღი რევოლიუციონური სულისკვეთება.

ამხანაგებო, სოფლის მუშებო! თქვენა ხართ ავანგარდი რევოლიუციის და თავისუფლების. იცოდეთ, რომ პირველი მახვილი ხალხის მტრებისა თქვენსკენაა მოღერილი. იცანით თქვენი სიცოცხლისა და თავისუფლების მტრები, რომლებიც „სოციალისტურ" ქურქში გახვეულნი „მოკეთეებათ" გევლინებიან და ცხოვრების წყაროს გიმღვრევენ; დაირაზმენით, კარგათ გაითვალისწინეთ დღევანდელი საბედისწერო მომენტი და გაეცით თქვენს მტრებს ჯეროვანი პასუხი. გახსოვდეთ, რომ რევოლიუციის მონაპოვართა დაკარგვა ჩვენი საარსებო ინტერესების დაკარგვაა, ხოლო მათი შერჩენა-განმტკიცება ჩვენი საუკეთესო მომავლის განმტკიცებაა. ამიტომ იყავით ფხიზლათ და მზათ თქვენ მიერ არჩეულ, ნდობით აღჭურვილ, მთავრობის მოწოდებაზე, რომელიც მუდამ მუშაობს და ზრუნავს თქვენი კეთილდღეობისთვის. განაგრძეთ ფხიზელი მუშაობა ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერ შერიგებიან თქვენი წარმომადგენლების შემოქმედებით მუშაობას; ეს ხომ გამოცდილებით კარგათ იცით, რომ ძალა დარაზმვა ერთობაშია! დაუნდობელი, ბრძოლა ხალხის მოღალატეებს.

სტ. ნიკოლაიშვილი.

## ქართლი და ოსეთი

29 ივნისს თფილისის მუშათა, გლეხთა და სალდათთა ცენტრის დავალებით დავიწყეთ სოფლებში მუშაობა, რომ გლეხობა მშვიდობიან გზისაკენ მოგვეწოდებია, რომ ყოველივე ანარქიული გამოსვლებისაგან მოერიდებინათ თავი, რომ არ მიეღოთ მონაწილეობა დუშეთისა და საჩხერის ნაძირალებთან ერთათ და არ დაეღვარათ ძმათა შორის სისხლი და სხვ. 30 ივნისს ავლევის საზოგადოებაში (გომის რაიონი, გორის მაზრა) მოვახდინეთ კრება, რაიონულ კომისრის თმნადასწრებით, სადაც დაესწრო საზოგადოების ნახევარი ნაწილი. ვილაპარაკეთ შემდეგ საკითხებზე: 1) დღევანდელი მომენტი, 2) საქართველოს გამოყოფა დამოუკიდებლათ, 3) ანარქია სოფლათ, 4) გერმანიის შემოსვლა ჩვენში, 5) ჯარი და სახალხო გვარდია, 6) იარაღი სოფლათ და 7) ტყეების დაცვა. ყველა ამ საკითხებზე ლაპარაკის გათავების შემდეგ ჩვენ მიერ წამოყენებული იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ზემოხსენებულ საკითხებზე ლაპარაკი, ნდობას ვუცხადებთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და მზათა ვართ ყოველ წამს დავეხმაროთ იმაზე, რაზედაც მოგვიწოდებს, ან შევასრულოთ ის, რასაც გვიბრძანებს".

ეს რეზოლიუცია ერთხმათ იქმნა უარყოფილი და როცა შევეკითხეთ თუ რაშია საქმე, რომ თქვენ დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგი ხართ და რას უნდა მიეწეროს თქვენი საქციელი, მაშინ ხალხმა გვიპასუხა: ჩვენ მთავრობას არ ვეწინააღმდეგებით, მხოლოდ იქნება იმან მოგვიწოდოს, რომ რუსების ან ბალშევიკების წინააღმდეგ წადითო, მაშინ ჩვენ ეს არ გვინდა და თქვენ რეზოლიუციასაც იმიტომ არ ვუჭერთ მხარსო.

ამ დღეს მხოლოდ არჩეული იქმნა ახლათ კომისარი, მწერალი და მილიციონერები, სხვაფრივ ჩვენმა ლაპარაკმა ხალხსე ბევრი გავლენა არ იქონია, რის გულისთვისაც კრება მეორე კვირისთვის ხელმეორეთ დაინიშნა. მეორე დღემდის დავრჩით აქ იმ მიზნით, რომ მოგვიწყო ორგანიზაცია რაიმე ნაირათ და ყოველივე ზომები მიგვეღო მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლათ და სხვ. ამ დროს, ნაშუადღევის 5 საათზე მოგვადგა კანცელიარიასთან სამი ცხენოსანი შეიარაღებული იმერელი და იკითხეს შტაბი. როცა შევეკითხეთ თუ ვინა ხართ ან რათ გინდათ შტაბი, მაშინ გვიამბეს შემდეგი: ჩვენ გახლავართ საჩხერიდან: იქ მოვიდა თავადების შეყიდული „კრასნი" გვარდია, რომლებიც თვეში ასას თუმანს იღებენ თავადებისაგან. ჩვენ იარაღსა გვყრიან, იმიტომ, რომ მამულიც წაგვართვან, დაგვხოცონ და მერე კი თვითონ ე. ი. „კრასნი" გვარდია და თავადები დაინაწილებენ მამულს. სარბაზნებს და „პულემეტრებს" გვესვრიან ჩვენ ერთი მოგვიკლეს, იმათი კი ბევრი დავხოცეთ, სამი „პულემეტრი" წავართვით და აი ეს სამი ცხენიც იმათ წავართვითო. ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენც წამოხვიდეთ და დაგვეხმაროთ. სხვა ადგილებშიაც არიან წასული ამხანაგები: ჯავაში და კუდაროშიც. ძალები ცოტა ყავთ, ჩვენ დიდი ძალა გვყავს და იმედი გვაქვს, რომ სულ მოვსპობთ მათ. ამ ნალაპარაკევის შემდეგ ჩვენ მოვთხოვეთ წერილობითი საბუთი თუ ვისი დავალებით წამოვიდნენ, მაგრამ ასეთი მათ არ ჰქონდათ და რაიონულ კომისარის დახმარებით იარაღი აეყარათ, დატუსაღებულნი იქმნენ და ყვირილის შტაბს გაუგზავნეს ხაშურიდან. ამის შემდეგ ხსენებულ საზოგადოებაში, ზოგიერთ სოფლის გლეხებმა დიდი განგაში ასტეხეს და ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებდენ. ერთ სოფელში დაადგინეს, რომ მე უნდა დამიჭირონ და წამიყვანონ საჩხერეში, სანამ იმ დაჭერილ კაცებს არ გამოვაშვებინებ, მხოლოდ თუ არ გამოუშვებენ მაშინ ის უნდა საჩხერეთშივე იქმნას მოკლული და სხვ. როგორც გამოირკვა, განაპირა სოფლებიდან ზოგიერთი ნაძირალები წავიდენ დასახმარებლათ საჩხერეში, მაგრამ ისევ დაბრუნდენო, რადგანაც წამოსალები არაფერი დახვდათ.

4 ივლისს ავლევის საზოგადოებიდან გავემგზავრე ცხინვალისაკენ, სადაც გავიარე რამდენიმე სოფელი. საერთო კრება არსად მოხერხდა, რადგან გლეხობა მუშაობაშია გამბული, მაგრამ ვიქონიე კერძო საუბრები გლეხებთან, უხსნიდი დღევანდელი მომენტს და მიუთითებდი, რომ არავითარი შეიარაღებულ გამოსვლებში არ ჩაერიონ, თორემ დიდი უბედურება დაატყდებათ თავს მეთქი და სხვ.

ცხინვალში ვინახულე რამოდენიმე წევრი ოსების ეროვნული საბჭოსი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჯავის ხეობაში ყველგან მშვიდობიანობა არის და არავითარი შეცდომილი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული ოსების მიერ, რომ შეიარაღებულ გამოსვლებში ჩაერიონ. ამასთანავე გამოირკვა, რომ ვიღაც სიხარულიძე ბალშევიკების სახელით დადიოდა ჯავის ხეობაში, რომელიც იქიდან იქმნა გამოძევებული [illegible] თავისი შტაბი გადმოიტანა ქვემო ქართლში ე. ი. [illegible] დოებებში, სადაც ათასნაირი პროვოკაციას ეწევა და საშინლათ სწამლავს მშვიდობიან გლეხობას.

სოფლად ორგანიზაციები არსად არის. გლეხთა საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები გაუქმებულია. გლეხობას ყველგან აღელვება ეტყობა, თითქოს ხვალ თუ ზეგ რაღაცა განადგურება მოელის. თითქმის ყველგან ერთი და იგივე ასეთ სიტყვებს გაიგონებთ: თუ მთავრობა ჩვენი მომხრეა, მაშ რათ გვართმევს იარაღს. ჯერ დაგვიმტკიცოს, რომ მართლაც ბატონი აღარ გვეყოლება, მამული საკუთრათ დაგვრჩება და ყველაფერი დაამშვიდოს, მერე იარაღს დიდი სიამოვნებით ჩავაბარებთო, თუ არა რომ გვართმევენ იარაღს მაშინ იქნება დაგვესხნენ თავადები და რითი უნდა გაუმკლავდეთო და სხვ. თუ ასეთი მდგომარეობა ლიდხანს გაგრძელდა სოფლათ, მაშინ გლეხობას დიდი უბედურება მოელის და ამიტომაც მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შემდეგ ზომებს: 1) მაგარი ორგვეიზაციების შექმნა, სოფლათ და ქალაქათ. 2) გლეხთა ფართო ყრილობის მოწვევა და მათ თვალწინ ყველაფრის გადაშლა. 3) მიწის მოწესრიგება და 4) პროვოკატორების განდევნა. აი რითი შეიძლება, რომ სოფლათ ბოლო მოეღოს ყოველივე უბედურებას.

ან. ბიბ ლოგი.

## ფარმაცევტთა განათლება,

### მათი დამოკიდებულება ქიმიკო-ფარმაცევტულ მრეწველობასთან და სამკურნალო წამლების უქონლობა

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება მოითხოვს ტეხნიკის განვითარებას. ჩვენს პრესაში ყოველ თემაზე შეხვდებით კვლევა-ძიებას, მაგრამ, საუბედუროთ, რაც შეეხება ქიმიკო-ფარმაცევტულ დარგს, მასზე სრულებით არაფერი არ იწერება, ან ძლიერ ცოტა. დიდ ნაწილს თანამედროვე საზოგადოებისას: ექიმებს და სხვადასხვა დაწესებულებებს, რომლებსაც ასე თუ ისე აქვს დამოკიდებულება ფარმაციასთან, მთელ სამკურნალო წამლების და საფარმაციო საქმეების მომწყობი და კონტროლი ჰგონიათ აფთიაქი.

ვინც ასე ფიქრობს, ის მხედველობიდან უშვებს ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ აფთიაქი არის მხოლოდ შედეგი მეტად რთულ და ღრმა ქიმიკო-ტეხნიკურ წარმოებისა.

საჭიროა მაღალი ინტენსიური საფარმაციო მეურნეობის განვითარება, ქიმიური და ტეხნიკური ცოდნის სწორ ნიადაგზე დაყენება, საფარმაციო მრეწველობის საღი ორგანიზაცია და მხოლოდ შემდეგ შეიძლება უზრუნველყო აფთიაქი ყოველგვარ სამკურნალო წამლებით,

---

სახელით რუსულ ენაზე წამოძახილით: „ხელები აწიეთ ზევით"! ეს არის მეთოდი ბ. ფონ-ოლდენბურგის და მისი ლეიტენანტის ათი კარისკაცითურთ. ეს გარემოება ჩვენთვის მეტად არა სასიამოვნოა, მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ასეთი საქმეები მეტის-მეტ ვნებას მოუტანს გერმანიის ინტერესებს. მათი მიზანი იყო ბოლოს პურის მიღება. ეს მიზანი არ იქნა მიღწეული, პირიქით, გამოწვეულ იქნა უკრაინის მასსის ზიზღი გერმანიის ჯარებისადმი. ახლა ისინი ნემცებში ხედავენ კონტრ-რევოლიუციონერების დამხმარეს, რომლების მიზანია გლეხების ექსპლოატაციასთან ბრძოლით მონაპოვრების განადგურება.

ახლა გერმანიის გავლენის მეოხებით მთელს უკრაინაზე გამეფებულია პოლიტიკური რეაქცია, რომელსაც თან სდევს პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა, იმის მიზანია კიევში შექმნას ისეთი პარლამენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიას ოკუპაციის საქმეში. ეს არის პოლიტიკური ძალდატანება და ამნაირათ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა ბუნებრივათ იწვევს მასსაში მხეცურ ზიზღს გერმანიის მმართველობისადმი. უზურპატორის ძალა-უფლება დაყრდნობილია მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის ხიშტებზე. ამიტომ შეიძლება არ იქნას გერმანიის ჯარი უკრაინიდან გაყვანილი. გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთ ატმოსფერაში კარგი ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულების შექმნა.

მსგავს შედეგებს მიაღწია გერმანიის ჩარევამ ფინლიანდიის სამოქალაქო ომში (სამოქალაქო ომი სწარმოებდა კაპიტალისტურ მიწათმფლობელობის და ადგილობრივ მუშებსა და გლეხებს შორის). გერმანიის ჯარების დახმარებით სასტიკათ დამარცხებულ იქნა სოციალისტური ჯარები. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გარეკილ იქნა სეიმიდან. შემდეგ გამოცხადებულ იქნა დიქტატურა, რომელმაც სასტიკად დაუწყო დევნა პრესას, გაახშირა დატუსაღება და შეზღუდა საარჩევნო უფლება. დიქტატორ სვინხუდმა შესძლო 9 ხმით 8 წინააღმდეგ მონარქიული წყობილების შემოღება.

იმ დროს, როცა ის ბერლინში თავის ბინაზე მე მარწმუნებდა, რომ ფინლანდიაში მონარქიულ წყობილების არც ერთ მომხრეს არ დაინახავ, იქ ყველა დემოკრატები და რესპუბლიკანლები არიანო. მე დაჟინებით ვურჩევ იმათ, ვინც ხელს უშვერს ფინლანდიის მეფის ტახტს, წინასწარ იშოვონ დასტური დამფუძნებელი კრების, რომელიც იქნება ამორჩეული საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაიმსახურებს ხალხის გულის წყრომას.

ამ გვარივე პოლიტიკით გერმანიამ დაიმსახურა მტრული განწყობილება ესტლანდიაში და ლიფლანდიაში მცხოვრებ ფართე მასისა, დემოკრატიული წყობილება განდევნილ იქნა და საკუჩნაოდან ამოთრეულ იქნა ძველი თავად-აზნაურული რეჟიმი. მოწყობილ იქნა ნამდვილი კომედია, სადაც სახალხო წარმომადგენლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ გვარად მიღებულ იქნა დადგენილება პერსონალური უნიის შესახებ. ბალტიის მხარის ძველ მთავრობას ქონდა განზრახვა მოლაპარაკება გაემართა გერმანიის მთავრობასთან, მაგრამ მისი წარმომადგენელი არ გაუშვეს ბერლინში.

კურლიანდიაშიც ასეთი ამბავი მოხდა. ჩვენ ყოველთვის მოგვდის წერილები, რომლებიდანაც ისინი ჩივიან, რომ არავინ არაფერი იცოდა საწარმომადგენლო ორგანოში არჩევნების შესახებ, გაზეთებს სასტიკათ სდევნიან, ყველანი პროტესტს აცხადებენ იმ დადგენილებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ რიცხვით უმნიშვნელო გაბატონებული წრიდან. შედეგათ აქაც საერთო მასსის გერმანიის მმართველობისადმი ზიზღი და სიძულვილი გამოიწვია. რა შედეგი შეიძლება ამას მოჰყვეს? ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ესტლიანდია და ლიფლიანდია ეკუთვნოდა რუსეთს, ეს გერმანიის მთავრობის მიერ ცნობილი არის. რუსეთის მთავრობას აქვს უფლება დაამტკიცოს ამ კუთხეების დამოუკიდებლობაზე განცხადებები. ამის შესახებ შეუძლებელია ყოველგვარი შეთანხმება, რუსეთის მთავრობის ნება-სურვილის წინააღმდეგ. ბ. ფონ-კიულმანმა განაცხადა, რომ ყველა ასეთ გამოყოფის დროს წინასწარ ხდებოდა რუსეთის მთავრობასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამით უფლებრივი მხარე თითქოს დაცულია. ჩვენ ძლიერ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ ხელახლა არ შევიდეთ რუსეთთან უიმედო კონფლიქტში, ჩვენი დაბეჯითებითი მოთხოვნაა, რომ მომავალი რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკება ხდებოდეს ამ ფარგლებში. გერმანიის ხალხს სურს იცხოვროს მეგობრულ განწყობილებაში რუსეთის ხალხთან და ესტონელ-ლატიშებთან.

მიუხედავად ლიტვის დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხადების, ყველაფერი ძველებურად დარჩა. თვითმართველობის და თვითგამორკვევის ნაცვლად იქ გამეფებულია ძველებურად კომენდანტების სამხედრო ავტოკრატიული მმართველობა. ერთად ერთი მიმართულების საფუძველი არის ის, რომ ბატონობს სამხედრო სამმართველოდან სურთ გადამჭრელი გავლენა მოახდინონ კუთხის პოლიტიკურ სახეზე და თვითონ მიითვისონ პოლიტიკური ხელმძღვანელობის კომპენტენცია. განმეორებული დადგენილება რეიხსტაგის თვითმართველობის შემოღების შესახებ არ იქნა სისრულეში მოყვანილი.

მართალია, დანიშნეს ლიტვაში სამოქალაქო საქმეების კომისარი, რომელიც ექვემდებარება სტატ-სეკრეტარს შინაგანი საქმეებისას, მაგრამ ამით სამოქალაქო მმართველობათ მხოლოდ იფარება ზომები მიღებული. სამხედრო მთავრობის მიერ გარეშე სახელმწიფოების თვალებში. რა დამოკიდებულება აქვს მაგ. სამხედრო თავდაცვასთან სამხედრო მთავრობის მიერ სწავლა-განათლების შესახებ კანონების გამოცემას?

მუშებს დაპირდენ აწეულ სამუშაო ქირას, თუ ისინი მისცემდენ ხელწერილს, რომ მსახურობენ თავისუფალ დაქირავებულად, ამ რიგათ, ისინი გახადეს თავისუფლად დაქირავებულ მუშებათ. ლიტველებს დიდი სიმპატია ქონდათ ჩვენი, ეს გამოწვეული იყო რუსული „ცარიზმის" სიძულვილით და ეკონომიური ინტერესებით, ეს ნდობა ჩვენდამი ჩვენ სავსებით გავაქარწყლეთ და სამაგიეროთ მათში დავთესეთ უნდობლობა და სიძულვილი. ლიტვის პარტიები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გლეხობასთან, დიდი ხანია თხოულობენ სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობას. მაგრამ დემოკრატიზმი, ეს საშინელებაა გერმანიის სამხედრო მაართველობისათვის. ვილნოში გამოჩნდა მე 10 არმიის ოფიცრების ცირკულიარი, რომელიც მიმართულია მთელი ქვეყნის დემოკრატიის წინააღმდეგ. უნდა შეაფასო სრული უქონლობა გონების და ის ფანატიკური სიძულვილი დემოკრატიზმისადმი, რომელიც გამოხატულია ამ ცირკულიარში, რომ გაიგოთ სიღრმე იმ უფსკრულის, რომელიც გათხარა სამხედრო ავტოკრატიამ თავის და ლიტვის ინტელიგენციის შუა. რეკვიზიციის ანაზღაურების წინადადებით გაიტყუეს გლეხობა ყრილობაზე, სადაც სურდათ მათთვის ძალით მიეღებინათ პერსონალური უნია პრუსიასთან, მაგრამ ლიტველებთან ამ ხერხმა ვერ გასჭრა. ნაწილს სურს რესპუბლიკა, ნაწილს კი მონარქია დემოკრატიული დანიის მსგავსი.

ხომ სურთ გააბედნიერონ საქართველო გერმანელი პრინცით და განზრახულია ახალი გასტროლი „მბრეტ ნეივიდსკის ალბანიაში". მგონია განზრახულია გერმანიის პრინცების ბითუმად გაზიდვა, მაგრამ ამით არა მგონია, რომ აიწიოს გერმანულ ნაციონალურმა და პოლიტიკურმა ვალიუტამ.

პოლონელებიც ჩვენ თანდათან გვშორდებიან. პოლონეთის საკითხი პირველ რიგში თვით პოლონელებმა უნდა გადასჭრან. ამიტომ დროზე უნდა უკმაყოფილოთ შევხვდეთ იმ გარემოებას, რომ პოლონეთის საკითხი იჩჩეოდეს პოლონეთის მთავრობის დაუკითხავად, ამან გამოიწვია ისედაც გამწვავებული მდგომარეობის უფრო მეტად გამწვავება ავსტრიაში. აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრა პოლონეთის არა მეგობრულ განწყობილებით ყოვლად შეუძლებელია. ანექსიონისტების მიერ მოთხოვნა პოლონეთთან საზღვრების უზრუნველყოფა პოლონელ ხალხს ჩაუგდებდა შეთანხმების სახელმწიფოებს.

განთავისუფლების მაგივრად აღმოსავლეთში დაპყრობილ ადგილებში ხალხი განიცდის ახალ მონობას. ისინი უფრო სიმწარეს გრძნობენ ახლა, ვინემ ცარიზმის დროს, რადგანაც მონობაში იმყოფება მათი როგორც სულიერი, ისე პოლიტიკური ცხოვრება დროა სადავე შევაბრუნოთ. ეს ყველაფერი შორს ცილდება სამხედრო საჭიროების საზღვრებს. შეთანხმების სახელმწიფოები დარაჯად დგანან და უცდიან გერმანიის ასეთ შეცდომებს. დიდი ხანია საჭირო იყო საჭეს მობრუნება. საფუძველი მოლაპარაკებისათვის უკვე არის—ეს არის ინტერესთა თანხმობა ჩვენ და მეზობელ ხალხთა შორის. მხოლოდ მათთან ხანგრძლივი მეგობრობა მიიყვანს ცენტრალურ ევროპას მსოფლიო ეკონომიურ მნიშვნელობის სიმაღლემდე. სამხედრო მიზანი დემოკრატიული პოლიტიკის მიღწეულ იქნას შეიძლება არა მარტო იარაღის ძალით, არამედ მეზობელ ხალხთან ურთიერთ შორის შეთანხმების ნიადაგზე. ძალიანი კარგი იყო სტატია გაზეთ „კრესტოვოიში" მოთავსებული, რომელშიაც პანგერმანულ ანექსიონისტებს ნათლად დაუმტკიცეს მათი პოლიტიკური ორიზონტის არა შორსმჭვრეტელობა. ეს წერილი არის ერთი საუკეთესო დასაბუთება ზავის შესახებ რეზოლიუციისა. კიულმანის დღევანდელ სიტყვის შემდეგ მგონია ეს რეზოლიუცია არ იქნება საქმით განხორციელებული, მაგრამ უკანასკნელმა დამატებით არჩევნებმა გვიჩვენა, რომ გერმანიის ამრჩევლების უმრავლესობა სდგას შეთანხმებითი ზავის ნიადაგზე და ეთანხმება რეიხსტაგის უმრავლესობის რეზოლიუციას ზავის შესახებ.

გერმანიის ხალხი მზათ არის ყოველ დროს მიიღოს ზავი კეთილი შეთანხმებით, რომელიც დაყრდნობილ იქნება ურთიერთ შორის ინტერესთა თანხმობაზე და ეკონომიურ თანასწორობაზე. დეე ეს იცოდეს მთელმა მსოფლიომ. სამწუხაროთ, არ არის ჯერ ერთი სურვილი ზავისა ჩვენი მოწინააღმდეგეთა მხრით. შედარება უკანასკნელი სიტყვების შურიანის და ყალფურასი საუცხოვოდ აშუქებს სიტუაციას. მთავარი საკითხი შემდეგია: მზათ არიან თუ არა მოწინააღმდეგენი დღესვე დაუყონებლივ შეუდგენ მოლაპარაკებას? გერმანიის მთავრობამ უკვე თანხმობა განაცხადა. მეორე მხარე ჯერ კიდევ უცდის იარაღით კითხვის გადაჭრას.

გერმანიის მთავრობამ უნდა ნათლად გამოსთქვას, რომ ზავი უანექსიო გავრცელებული იქნება ბელგიაზედაც.

თუმცა ეს ნათლად სჩანს, მაგრამ სამწუხაროდ გავლენიანი წრეები ჯერ კიდევ ბელგიის ანექსიის შესახებ პროპაგანდას ეწევიან და ამით სარგებლობენ შეთანხმების სახელმწიფონი თავიანთი ინტერესებისათვის. მათ დააწვებათ მძიმე პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკაზე, რომელიც ახანგრძლივებს ომს. გერმანიის მთავრობა ვალდებულია ამ საკითხშიაც განმარტოს თავისი პოზიცია დადებითი აზრით. იმ წუთშივე ბელგია მიატოვებს ინგლისის ხელში იარაღათ მასსაში საზავო ტენდენციების განსამტკიცებლათ, ბალფურმა სიმართლე აღნიშნა, რომ ბელგიაზე განმარტებები არ არის საკმარისიო და მიუთითა ელზას-ლოტარინგიაზე. ამაზე ჩვენ უნდა უპასუხოთ, რომ ელზას-ლოტარინგია არის ძველი ნემეცური ოლქი. დემოკრატიული არჩევნებით შექმნილმა ლანდტაგმა ნათლად სთქვა, რომ ის არ იზიარებს ფრანგ ნაციონალისტების პროგრამმას. ელზასის მცხოვრებთ სურთ სრული ავტონომია გერმანიის იმპერიის საზღვრებში. ეს უნდათ აგრეთვე გერმანიის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებსაც დღეს და ომამდისაც ამ აზრს ადგენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ასეთ ნიადაგზე დაყენებულ აფთიაქს შეუძლია მიაწოდოს ფართო მასას სალი სამკურნალო წამლები.

რუსეთის „პრივილეგიებით“ უზრუნველყოფილი აფთიაქი შიგნით ბაზარზე ვერ შოულობდა სამკურნალო წამლებს და მთელ თავის ინვენტარს ავსებდა ევროპის ბაზრით. ერთი შეხედვით რუსული აფთიაქი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ასეთსავე დაწესებულებას დასავლეთ ევროპაში. სწორეთ ამიტომ რუსეთის მთავრობა სრულებით არ ზრუნავდა უზრუნველეყო რუსული აფთიაქი ევროპის ძიძობიდან. არც განათლებით, არც საერთო მომზადებით და არც სპეციალური ცოდნის შეძენის მხრივ აფთიაქის მოხელე ღირსეულ ნიადაგზე არ იდგა. სავალდებულო ცოდნა, რომელიც საჭირო იყო აფთიაქში შესასვლელათ გამომუშავებული, იყო 1845 წ. და დღემდის უცვლელათ არის დატოვებული აბა წარმოიდგინეთ ოთხკლასიანი გიმნაზიელი, რომელიც აფთიაქში შედის და მთელი ექვსი, ხშირათ კი მეტი წლის განმავლობაში, როგორც ავტომატი, ისე მუშაობს და შემდეგ მიდის უმაღლეს სასწავლებელში, ვითომ და უმაღლესი ცოდნის შესაძენათ.

სწორედ ამით აიხსნება, რომ რუსეთში არ მოიძებნება არც ერთი საფარმაციოქიმიური ლაბარატორია. საქმის ასეთი მდგომარეობა არა ერთხელ იყო სპეციალისტების მიერ ხაზგასმული. კერძო ფარმაცევტთა საზოგადოებანი და დაინტერესებულ პირთა ყრილობები დაწყებული 1878 წ. და გათავებული 1917 წ., ბევრს ცდილობდენ საფარმაციო წარმოება, საამისო საშვალო და უმაღლესი განათლება შესაფერ ნიადაგზე დაეყენებიათ, მაგრამ ამაოთ.

1914 წ. აგვისტოში იყო მოწვეული ქიმიკოს-პროფესორები, ექიმები, ფარმაცევტები ბევრი სხვებიც და შეუდგენ მის კვლევას, თუ როგორ აეცდინა კარზე მომდგარი სამკურნალო წამლების შიმშილი. მაგრამ დახეთ უბედურობას, ამდენ მეცნიერთა თავყრილობამ სავსებით უნაყოფოთ ჩაიარა, ვინაიდგან ახალი საქმის მოსაგვარებლათ ყველა უვიცი გამოდგა და დაიბნა.

მუშაობა მაინც არ შეჩერებულა, არა სპეციალისტები ფარმაცევტთა დახმარებით მუშაობდენ და ორი წლის შემდეგ შესძლეს ორიოდე სამკურნალო მასალის გამონახვა. ამ ცდამ აშკარად დაგვანახა, რომ რუსეთში არ არის საკმაო რიცხვი სპეციალისტების, რომლებსაც შეეძლო აწარმოვონ და გაუძღვენ ნაციონალურ ქიმიო-ფარმაციულ მრეწველობას. მართალია, მოიპოვებიან პიროვნებები, რომლებმაც შესძლენ ღირსეული მომზადება შეეძინათ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმ მომზადებულ მასის შესაქმნელათ, რომელმაც უნდა გაუძღვეს სისტემატიურ ფარმაკო-ქიმიურ მრეწველობას. ეს მოვლენა ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ, სხვათა შორის, იმ საშჭრო-სადამოქნო პირობებს, რომელიც რუსეთისათვის არსებობდა და რა გასაკვირია თუ იმ პირობებში რუსეთის მთავრობა ცოტას ფიქრობდა იმ წარმოების დარგის განვითარებაზე, რომლის წყალობითაც შესაძლო იყო შეექმნათ ხალხის სიმდიდრე და სიძლიერე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მკითხველი ღიმილით იტყვის—რუსეთში გამოჩენილი ქიმიკოსები არიანო, მაგრამ მე ხაზს უსვამ, რომ სპეციალურ საქმეში საჭიროა მეცნიერულათ მომზადებული და თავის საქმესთან ახლო მდგომი ადამიანი ე. ი., მხოლოდ ფარმაცევტი. ხშირათ სპეციალური დარგი, თავისი პრაქტიკული მხრით ქმნის ისეთ პიროვნებას, რომელსაც წინ მიყავს ამა თუ იმ წარმოების განვითარება. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გავიხსენოთ: შელე, დიუმა, ლიბიხი, ბერტელო, ფრეზენიუსი და ბევრი სხვები, რომლებმაც გამოიყენეს თავისი დაკვირებანი და მეცნიერულ მომზადებასთან ერთათ დიდი ნაბიჯით წინ წაწიეს ეგრეთ წოდებული Прикладнаа химія“ ყველა ზემო აღნიშნული ქიმიკოსები, მორა, ვიურცა და სხვები ფარმაცევტები იყვნენ და მათმა კვლევა-ძიებამ დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას ბუნებასთან ბრძოლაში და მის დამორჩილებაში. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფარმაცევტთა სამოღვაწეო ასპარეზი მარტო ქიმიო-ფარმაციული მრეწველობით არ განისაზღვრება; ეს არის მხოლოდ ერთი მხარე იმ მრავალგვარ მოღვაწეობის, რომელსაც უნდა ეწეოდეს განათლებული ფარმაცევტი—მან უაღრესათ უნდა იცოდეს ჰიგიენა, დიაგნოსტიკა, ქიმიური ანალიზი, მან უნდა ააყვავოს სოფლათ საფარმაციო მეურნეობა, იკვლიოს მათი თვისება და სხვა.

მას შემდეგ, როდესაც მეცნიერული მომზადება ფარმაცევტისა ღირსეულ ნიადაგზე იქნება დაყენებული და სახელმწიფო უზრუნველ ყოფს ამ სპეციალურ დარგის უმაღლეს სასწავლებელს, მაშინ ის რიცხვი მუნიციპალურ აფთიაქებისა და სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ფარმაცევტებისა განუსაზღვრელ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და ნაციონალურ წარმოებას. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის და პრუსიის ომი. სანამ ეს ომი დაიწყებოდა, მთელ დედამიწაზე პირველობა ქიმიო-ფარმაცევტულ მრეწველობაში ეკუთვნოდა საფრანგეთს, მაგრამ ომის შემდეგ, 1870 წ. ნემცებმა შეიგნეს დიდი მნიშვნელობა ფარმაკო-ქიმიური მრეწველობისა, დარწმუნდენ, რომ ეს მრეწველობის დარგი ხალხის სიმდიდრეს უზრუნველყოფდა და, ვინაიდან იმა დროს გერმანიაში ამ დარგის სპეციალისტები ვიწრო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნით იყვნენ, ნემცებმა ინტენსიურათ დაიწყეს ამ სიმდიდრის დარგის დამუშავება. შექმნენ საკმაო რიცხვი სპეციალისტთა შესაფერი ცოდნით და სულ ცოტა ხნის შემდეგ საზღაპრო შედეგებს მიაღწიეს—გადააჭარბეს ფრანგებს და თავისი ნაწარმოებით მთელი ქვეყანა მოფინეს. საგულისხმოა ის, რომ მხოლოდ სპეციალისტ ქიმიკო-ფარმაცევტებმა შესძლეს ღირსეულ ნიადაგზე საქმის დაყენება, რადგანაც სპეციალისტები საკმაოთ იყვნენ მომზადებული, როგორც პრაქტიკულათ ისე თეორიულათ და თანაც სახელმწიფოსაგან ისინი დიდ შემწეობას პოულობდენ, დღეს, როდესაც ჩვენში სახელმწიფოებრივი შენობა ახალ დემოკრატიულ ნიადაგზე იწყება, საჭიროა დემოკრატიულმა მთავრობამ მხედველობაში მიიღოს უმწეო მდგომარეობა ქიმო-ფარმაცევტიულ წარმოებისა. საჭიროა ამ დარგის დამოუკიდებელ ორგანოს შექმნა, რომელსაც შეეძლება რადიკალურ ნიადაგზე დააყენოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხარე ფარმაკო-ქიმიური წარმოებისა. შესაფერი სწავლა განათლება და მეურნეობა, ინტენსიური დამუშავება ამ დარგის სიმდიდრისა საზღაპრო შედეგებს მიაღწევს, ამიტომ დღევანდელმა მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დარგს.

გ. ნუცუბიძე.

## თავხედი მილიციონერი

ორშაბათს, 8 ივლისს მე და ერთმა ამხანაგმა ჯარისკაცმა, ოლღას ქუჩაზედ გავიარეთ. ამხანაგს ხელში გაზეთი ეჭირა; ერთი მეხილის „ბუტკას“ მიუახლოვდით სადაც ხალხი შეგროვილიყო. ჩვენ ცნობის მოყვარეობამ გაგვიტაცა და მივედით მათთან. გამოირკვა, რომ ერთი მილიციონერი ედავებოდა „მებუტკეს“ და უყვიროდა უკანასკნელს, რომ მისთვის რევოლვერი მიეცა. „ბუტკის“ პატრონი ეფიცებოდა, რომ მას არაფერი ქონდა. მილიციონერი ცდილობდა იგი კომისარიატში წაეყვანა. ჩემი ამხანაგი შეეკითხა მილიციონერს რათა გაეგო შინაარსი საქმისა, მაგრამ მილიციელმა მას შემდეგი სიტყვებით შეჰყვირა: „შენ ვინა ხარ, მე შენ ვერ გიცნობო“. ამხანაგმა თავაზიანად უპასუხა: „მე ჯარისკაცი გახლავარ საქართველოს რესპუბლიკისაო“, „შენი მოწმობაო“ უყვიროდა ის და რევოლვერს ბუდიდან იღებდა. მე შევეცადე დამეწყნარებია, მაგრამ ვერას გავხდი. ამასობაში ხალხმა თავი მოიყარა ჩვენს გარშემო. მილიციონერმა ხალხს შესძახა გაფანტულიყვნენ და რევოლვერი ამოიღო. ყველანი შიშის ზარმა აიტანა; ამ დროს მოვიდა სხვა მილიციონერიც და ჩემი ამხანაგი გაანთავისუფლა, მაგრამ თავხედი მილიციონერი კიდევ გამოედევნა. მე ამხანაგს ვანიშნე დამალულიყო. მილიციელი დიდხანს ეძებდა, მაგრამ ველარ იპოვა. როგორც თითონ სთქვა, ის გვარად კიკნაძე ყოფილა. ჩვენთვის ძლიერ სამწუხარო იყო ეს ამბავი და ვფიქრობდით, თუ რა მოხდებოდა, მას რომ შეუგნებელი ჯარისკაცები შეხვედროდა. განა არ იციან მილიციონერებმა, რომ მათი და სახალხო გვარდიელების სახელი როგორ იხსენიება ჯარის კაცებში კონტრრევოლიუციონერების მეოხებით. განა არ იციან, რომ დღეს ის ჯარისკაცები, რომლებიც დარჩენილან სამსახურში უმეტესობა პატიოსნებია? დღეს ის პირები ასრულებენ სამსახურს, ვინც ნამდვილი დამცველია რევოლიუციის, და თავისუფლებისა. მაშასადამე, რა საჭიროა ისე მოქცევა ჯარისკაცებისადმი, როგორც ეს თავხედი მილიციელი მოიქცა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და აილაგმოს ყველა თავხედი მილიციონერი. დროა შევიგნოთ, რომ ძმებს შორის კიდევ სისხლი არ დავღვაროთ. მილიციონერების მოვალეობაა ღირსეულად და წმინდათ შეასრულონ ის რაც მათ ევალებათ;

საწყალი მუშა.

## სად.-მამულო რეფორმა

**სურამის რაიონი.** საადგილ-მამულო კომისია უკვე შეუდგა ამ რაიონში მამულების ჩამორთმევას. სოფელ ბიჯნისში იტრიის საზოგადოება, მან უკვე ჩაიბარა მურვანიშვილების. მამული რამოდენიმე დესეტინა.

აღსანიშნავია ის ინციდენტი, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი გლეხებსა და პომისიის შორის. საქმე შემდეგში მდგომარეობს: ის იყო კომისია უნდა შესდგომოდა საქმეს, მას ყვირილით წინ გადაეღობა ადგილობრივი გლეხი წყალობა ხაჩიძე შვილებითურთ და მუქარით მიმართა: „თქვენ თავადების კომისია ხართ და ვნახოთ როგორ ჩაიბარებთ მამულებსაო“.

ამის შემდეგ მოუწოდა გლეხებს კომისია გაერეკნათ. რამდენიმე გლეხი მართლა აყვა მისი ფეხის ხმას და შეეცადა მილიციონერებისათვის იარაღის აყრას, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. წყალობა ხაჩიძე მაინც არ სცხრებოდა, ის მაინც თავისას გაიძახოდა: „დაიცათ თქვე ბურჯუებო, აგერ ბოლშევიკები მოვლენ და გიჩვენებთ თქვენს სეირსაო“. მიუხედავათ კომისიის ახსნა-განმარტებისა, კომისია იძულებული შეიქნა წყალობა შვილებითურთ დაეჭირა და შესაფერი ოქმი შეედგინა. დატყვევებულნი ოქმთან ერთათ გაგზავნილ იქნენ სამაზრო კომისარიატში.

ამის შემდეგ ზოგიერთ გლეხებმა შექმნეს დელეგაცია მემამულეთაგან და მიუგზავნეს კამისიას ტუსაღთა გასანთავისუფლებლათ, მაგრამ კომისიამ ეს დელეგაცია ახლოსაც არ გაიკარა, ვინაიდან მან კარგათ იცოდა თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გლეხებზე. რომ კომისიას დელეგაციის თხოვნა შეესრულებია, მაშინ გლეხები უფრო დარწმუნდებოდენ, დამტკიცდებოდა ის ხმა, რომლითაც კომისიას მიმართა ჩარჩ გლეხმა, ვითომ კომისია იყოს თავად-აზნაურული.

რომ ამით ვერაფერს გახდნენ, მიმართეს ადგილობრივ ადმინისტრაციასაც, მაგრამ აქაც ვერაფერი მოაგვარეს.

შემდეგ მოითხოვეს, რომ საქმის გარჩევის დროს მოწმეები მათი ყოფილიყვნენ დაკითხული, რაზედაც ვუპასუხეთ, რომ მოწმეები უსათუოდ დაკითხულნი იქნებიან მხოლოდ რაც შეეხება სასჯელს, ვუთხარი, რომ ისინი არიან მონაწილე ინცინდენტში.

ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, საქმეს რაც შეიძლება დაჩქარებით გაარჩევს და დამნაშავეთ შესაფერისათ დასჯის.

სურამის რაიონში ძლიერ ცოტაა სახნავი მამულები და ეს უფრო ამწვავებს რეფორმის განხორციებას. გლეხები ასე მსჯელობენ: „ჩვენ ისედაც ცოტა გვაქვს სახნავი და სად შეიძლია საიჯარო გადასახადის გაღებაო. თუ შესაძლებელი იქნება, ერთხელ და სამუდამოთ გაგვანთავისუფლონ მოდავისაგანაო“.

ნურავის ნუ გაუკვირდება, თუ ჩვენი გლეხი ასე მსჯელობს; მოკლებული სწავლა-განათლებას, შეგნებას, სხვას ვერაფერს იტყვის, ვინაიდან მას ძვალსა და რბილში მაგრათ აქვს გამჯდარი საკუთრების პრინციპი. მას ვერ შეუგნია, თუ რა განსხვავებაა „ღალასა“ და „იჯარის“ შორის, მით უმეტეს, როცა „იჯარა“ შედის საზოგადო თანხაში, საიდანაც უნდა გაკეთდეს სკოლა, საავადმყოფო, გზა და სხვა ათასგვარი სოფლური საქმეები. გლეხი ვერ შეიგნებია ამ აზრს. მან კარგათ იცის, რომ ყველა ასეთი საქმეები უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, მაგრამ ის კი არ უნდა იკითხოს, თუ საიდან უნდა იშოვნოს ამისთვის სახელმწიფომ საჭირო თანხები.

ერთი სიტყვით, ჩვენი გლეხობა ასე მსჯელობს: მთავრობამ უნდა გააკეთოს ყველაფერი და თუ ამისთვის ფულები დასჭირდება, რამდენიც უნდა, კიდეც მოსჭრასო.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, ეგრეთ წოდებული „ბალშევიკები“ ძლიერ ეწევიან ჩვენ საწინააღმდეგო აგიტაციას; უთუოდ ეუბნებიან გლეხებს: „მენშევიკები გატყუებენ, ჩამორთმეულ მამულებს თქვენ კი არ გაძლევენ, არამედ—აბარებენ ადგილობრივ საადგილ მამულო კომიტეტებს, რომელნიც იჯარას გადაგახდევინებენო და სხ.“.

Calis.

## პროვინცია

**სოფ. აბაშა**, (სენაკის მაზრა). აბაშის სოფლის სამკითხველოს გამგეობის ინიციატორობით, 23 ივნისს ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა საღამო. მოწვეული იყო ძუკუ ლოლუა და ამხ. მომღერალთა გუნდი. საღამოს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო. საღამოს შემოსავალი ასეთია: ბილეთების გაყიდვიდან 525 მ. და 36 კ., კერძო შემოწირულება—420 მ. ფოტის შემოსავალი 30 მან. ბუფეტის ნავაჭრი 889 მან. და 85 კ. სულ 1865 მ. და 20 კ. დაიხარჯა 931 მ. და 95 კ., ამ რიგად დარჩა წმინდა შემოსავალი 933 მ. და 25 კ. გამგეობა მადლობას სწირავს, როგორც შემომწირველთ, ისე იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ რომლებმაც ხელი შეუწყვეს გამგეობას საღამოს მოწყობაში. გულწრფელ მადლობას სწირავს, აგრეთვე გამგეობა ძ. ლოლუას და მის ამხანაგებს, რომელთაც უსასყიდლოთ მოაწყვეს კონცერტი;

გამგეები: ირ. თოფურიძე, თადეოზ ბ. ქოიავა, ივანე ზ. ქოიავა.

**თელავის მაზრა** პირველმა მიწათ მიმღებმა კომისიამ ს. ურიათ-უბანში და ს. ქვემო-ხოდაშენში დაამთავრა მიწების მიღება და გადავიდა ს. წინანდალში ცნობები და ყველა აქტები თავისი გეგმებით გადაეცა თფილისის საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარეს ის სარუაშვილს.

გ. თევდორაშვილი.

**სოფ. ვიცესი და ნუნი** (გორის მაზ.) სოფელი ვიცესი და ნუნი გაშენებულია თავ. ჯავახიშვილის მამულში. ჯერ კიდევ რევოლიუციამდის ეს პატარა სოფლები ამ თავ. ჯავახიშვილის მამულს ამუშავებდენ. მაგრამ მოხდა თუ არა რევოლიუცია ამ პატარა სოფლების წინააღმდეგ ძველი წესწყობილების მოტრფიალენი ცდილობდენ აემხედრებიათ იქვე მეზობელ სოფელ ხოვლეს მცხოვრებნი. ამ შავმა მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო. ამას წინეთ ხოვლელებს ეუბნებოდენ თავ. ჯავახიშვილები რომ სოფ. ვიცესელებისთვის და ნუნის მცხოვრებლებისათვის არ მიეცათ ის მიწები მოსახნავათ, რომლებიც მათ აქამდინ ეჭირათ: „თქვენ, ხოვლელები ქართველები ხართ თქვენ უფრო გერგებათ ჩვენი მამული როგორც ქართველებს, ვიდრე ვიცესის და ნუნის მცხოვრებ ოსებსო“. ასეთი პრავაკაციული მუშაობის წყალობით ორ მშრომელ ძმათა შორის. სისხლი კინაღამ დაიღვარა. სოფ. ხოვლელებმა ამ აგიტაციის გავლენით მოუხნეს ვიცესელებს მიწები. ვიცესელები გაბრაზდენ და იირაღით ხელში მიუვარდენ სოფლელებს. სისხლი უსათუოდ დაიღვრებოდა, რომ ერთი უფრო შეგნებული კაცი არ გამოჩენილიყო. ამ უკანასკნელს როგორც იყო დაერწმუნებინა გლეხები, რომ ასეთი სისხლის ღვრა არ მოეხდინათ და ყველაფერი მთავრობისათვის შეეტყობინებინათ და თუ ხოვლელები დამნაშავენი აღმოჩნდებოდენ, მაშინ თვითონ მთავრობა მოსთხოვდა მათ პასუხს. საზოგადოთ შავმა ძალებმა ძალიან დიდი მუშაობა დაიწყეს სოფლად და საჭიროა ზომების მიღება მთავრობის მხრივ.

პრავაკატორების წყალობით ისევ ცუდათ უცქერიან ჩვენს წითელ გვარდიას. „წითელი გვარდია“ თავადების დაქირავებული ჯარი არისო“—ხშირად გაიგონებს კაცი სოფლელებისაგან.

როდის იცნობს სოფლის ხალხი თავის მტერმოყვარეს?

კოსტა ძებისაშვილი.

**სიღნაღის მაზრა.** ამ უკანასკნელ ხანებში სიღნაღის მაზრაში დიდი ცარცვა-გლეჯა და ბოროტ-მოქმედებაა გამეფებული. აი მაგალითად: თიბათვის რიცხვებში ს. ყადაურში მოხდა მკვლელობა; საჯიმითოს ტყის პირად, გაძარცვეს გზაზე მიმავალი ყადაურელი გლეხი, რომელსაც წაართვეს 200 მან. ფული; 8 თიბათვეს გაძარცვეს ნანიანის ბაზრობაზე სავაჭროდ მიმავალი შვიდი კაცი წაართვეს ყველას რაც რამ ებადათ ფული და დახადეს ტანსაცმელები. იმავე ადგილზე მეორე დღეს გაძარცვეს სომხის მღვდელი (ყადაურელი) წაართვეს ხურჯინი, ჯვარი და სამოსელი.

ამას გარდა ყოველ ღამ სწარმოებს ცხვრებისა და სხვა საქონლის ქურდობა.

სოფლის კომისარი თუმცა ყოველივე ღონეს ხმარობს ამ ქურდ ბაცაცების წინააღმდეგ მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა.

კარგი იქნება ამ მაზრის კომისარი მიაქცევდეს ყურადღებას და მიიღებდეს ზომებს ამ მოთარეშე ყაჩაღების ასალაგმავად.

X.

**სოფელ ჯოლევი** (სამეგრელო) ყველა უბედურებასთან ერთად ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა შიმშილობაც. ამან ხალხი დიდ გასაჭირში ჩააგდო და ზოგ ადგილას ანარქიაც გამეფა. სიმშილობა ეწვია აგრეთვე ს. ჯოლევსაც. აღნიშნულ სოფლის ახლომახლო მდებარე საყანე ადგილები, მეტად უნაყოფოა. გარდა ამისა გასულ წელს მუშა ხელის ნაკლებობაც იყო, ყველა ამ მიზეზების გამო მოსავალი ძალიან ნაკლები იყო და მცხოვრებლები ზამთრის შემდეგ გარეშე სოფლებიდან შემოტანილი სიმინდით ირჩენდენ თავს. მაგრამ ბოლო დროს სიმშილობა სხვა სოფლებსაც ეწვია. დღეს ყველგან შეხვდებით, მხარზე ტომრით ქუჩებში მოხეტიალე ქალებს და კაცებს, რომელნიც სიმინდს თხოულობენ. ხალხი არსაიდან არ მოელის შველას. უკანასკნელ წუთებს განიცდის. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ანარქია აღმოცენდეს და ყაჩაღობაც გახშირდეს. სოფ. ჯოლევი აუტანელ მდგომარეობაშია. საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და ეხლავე შესაფერი ზომები მიიღოს.

აპოლონ ხვითარია.

**ქ. ხაშურის** წითელ გვარდიელთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ქ. გორის სახალხო გვარდიელთა სამაზრო შტაბის წარმომადგენლის ამხანაგ მარიამიძის ვრცელი მოხსენება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მდგომარეობაზე, სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ ხელმძღვანელს, პროლეტარიატის იდეოლოგს, მის მოხუცებულ მასწავლებელს ნოე ჟორდანიას, სიხარულით ეგებება მის მიერ გადადგმულ ყოველგვარ ნაბიჯებს და იმედს გამოსთქვამს, რომ დიდებული მასწავლებელი შესძლებს საქართველოში მცხოვრებ ყველა დემოკრატიულ ნაწილების შეერთებას და საერთო ძალით გალაშქრებას იარაღით ხელში იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც მოელის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ოსმალეთის, ბალშევიკების და ყოველგვარ ანარქისტების სახით. ამასთან კრება მოუწოდებს სოფლის მშრომელ გლეხობას გონს მოვიდეს, მხარი დაუჭიროს თავის ღვიძლ ძმებს—ქალაქის მუშებს და შეერთებული ძალით დაეხმარონ თავის ინტერესების დამცველ მთავრობას.

კრების პრეზიდიუმი.

## ოსმალეთის ტყვეობიდან დაბრუნებულთ

უმორჩილესად ვთხოვ თუ ვინმემ რამე იცის ოსმალეთში ტყვედ მყოფ ჯარისკაც გიორგი ალექსის ძე ლოლუაზე ნუ დაიშურებს ღია ბარათს და შემატყობინოს. ხსენებული გიორგი ლოლუა 1914 წელს დეკემბერში ოლთისის მხარეს უკვალოდ დაიკარგა ბრძოლის დროს, ერთი წლის შემდეგ წერილი მივიღე არზრუმიდან. ტყვედ წაყვანის შემდეგ მოეწერა მომიყვანეს არზრუმში, აქედან ამ დღეებში სხვაგან გვზავნიანო. სად გზავნიდნენ ტყვეებს არზრუმიდან, რა მოუვიდა გ. ლოლუას, მას აქეთ აღარაფერი ვიცი. თქვენ ეხლა დაბრუნდით ოსმალეთიდან იცით ტყვეების ამბავი. იქნება რამე იცოდეთ ლოლუაზეც.

ჩემი მისამართი; ხურამში. ფსტ. სუფროსს ი. მესხს სანგანიძესთვის.

8 ივლისი 1918 სანგანიძე.

## ცნობები

კონსტანტინე ყარამანის-ძე ფირცხალაიშვილი, მსახურებდა მე2 რე მსროლელ პოლკში, 1 ბათალიონის მე-3-მე როტაში, ამ უკანასკნელათ იმყოფებოდა აბასთუმანში და ღებულობდა მონაწილეობას თათრებთან შეტაკებაში. 17 ივნისის შემდეგ არაფერი არ ვიცით. თუ ვინმემ რაიმე იცით გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგ მისამართით: თფ. ლისი. ფოთის ქუჩა, № 6 ოთახი 26. ვლადიკო ხეფერიას.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს“ № 134 10 ამ თვის თარიღით მოთავსებული იყო წერილი „მთავრობა და ბენზინი“, რომელიც საერთოდ ეხებოდა ავტომობილების საქმის მოწყობას. ეს კითხვა ერთობ რთულია. საავტომობილო საქმეში ამ ხანათ ხდებოდა რეორგანიზაცია და ამიტომ არა მაქვს საშვალება არსებითად გამოვეხმაურო ამ წერილს. შემდეგში ეს შესაძლებელი იქნება და საჭიროც. დღეს დღეობით კი მე საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

1. საქართველოს რესპუბლიკის დაარსებიდან საავტომობილო განყოფილებას მიეცა საშვალება და კიდევაც შეუდგა საქმის რადიკალურათ მოგვარებას და ხარჯების შემცირებას, ასე რომ დღეს მთავრობის გარაჟის ხარჯი თვეში უდრის არა უმეტეს 20000 მანეთისა, სახელოსნოს ხარჯის გამოკლებით.

2. გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული ცნობა თითქოს მარტო მთავრობის ავტომობილებაზე იხარჯებოდეს დღეში 18000 მან. სრულებით ს მართლეს არ შეესაბამება. მთავრობის განკარგულებაში მხოლოდ 6 ავტომობილია.

3. საქართველოს რესპუბლიკის დაარსებამდე საავტომობილო საქმე იწვევდა აუარებელ ხარჯებს—თვეში 1500000 მანეთამდი. ეს ხარჯები დღეს 250000 მ. შემცირდა. საავტომობილო განყოფილება გზათა სამინისტროსი ღებულობს ზომებს რათა მინიმუმამდე შემცირდეს ეს ხარჯიც და საავტომობილო საქმე გადაიქცეს ერთი მხრით რესპუბლიკის ფართე შემოსავლის წყაროთ და მეორე მხრით ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეების ეკონომიურ განვითარების ფაქტორათ.

გზათა სამინისტრო საავტომობილო განყოფ. მმართველი ბ. გოგეშვილი.

**ღია წერილი გ-ნ თომა ანჩაიევს.**

თქვენ იყავით ბათუმის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის [illegible] ვანი და ყოველივე საქმეები და ანგარიშები თქვენ გებარათ. ჩვენი ვალია ამომრჩევლებს წარუდგინოთ დაწვრილებითი ანგარიში, ამიტომ გთხოვთ დაუყონებლივ მაცნობოთ თქვენი ადრესი, რათა შეთანხმებით მოვამზადოთ ანგარიშები და მოვიწვიოთ მოსამსახურეთა კრება საქმეების ლიკვიდაციის მოსახდენათ.

ბათუმის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე აფ. წულაძე.

ქ. ლანჩხუთი.

**მუშათა კლუბში.**
დღეს, 12 ივლისს 1918 წ.
რუსულ დრამატიულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:
**უდანაშაულოდ დასჯილნი**
დრ. 5 მოქ, ოსტროვსკისა.
დასდგამს მსახიობი ნ. ბ. ტაბენცკი.
დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
**მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტის** შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ა. ლ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. ქადიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს. 12—2 საათამდე.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილისა**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და სალ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

**მოითხოვეთ სამკურნალო**
**ბორჯომის წყალი**
ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით“) მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.
**მისამართი:** ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი“. (15—11)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.